ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ.

№ 14 ᲛᲐᲠᲢᲘ, 31 1896 Წ. № 14

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: კვირის ფარანი კვიმატრისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—მოთქმა, ლექსი გრ. გუგუნავა-სი.—სიტყვა, თქმული თ. ნ. ტ. დადიანის მიერ გელათის მონასტერში.—სხვილები ინგლისისა და ინდოეთის ომში.—მესა-მოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (გაგრძელება) ნ. ჟორდანიასი.—მეცნიერება გაკოტრდა, თუ მეტაფიზიკა ფ. მახარაძისა.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა №№-სა.—რეცენზია: „ცოლ-ქმარი", მოთხრობა ილ. ნიკოლაიშვილისა.—ნუშა მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—კვალის დამატება:—ესეც უცნაურია? კირილე შევარდენიძისა და კერძო განცხადებანი.—

კვირის ფარანი.

ამას წინეთ გალაეინის-პროსპიკტზე შემომეფეთა ერთი ნაცნობი გურული. „ყაზილარი" გამოქცეულიყო ზამთარს და, ის იყო, ჩამოსულიყო თბილისში, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ვერც აქ მოენახა გაზაფხული. ზამთრით დაშინებულს, აქ სულ სხვა რამე გაჩენოდა სადარდელათ.

— აგი მითხარი, თუ კაცი ხარ, თქვენ აქ სალანძღავათ ხართ დაყენებული, თუ ასეთია თქვენი ხელობა?

— ეინ ჩვენ? რა ხელობა?

— თქვენ—მწერლები... რა ხელობა და მწერლობა, რაცა მეკითხები? ჩინურათ ელაპარაკობ, თუ რაცაა შენი საქმე?

— მე აეიწეე მხრები და გაკვირვებით შევხედე ჩემს მესაუბრეს.

— გული ნუკი მოგივა—დამამშვიდა მან—მაგრამ, ძმობას გეფიცები, ვერ გამიგია თქვენი საქმე. ცხენს რომ ეყიდულობ, ეიცი, რასაც ჩაედიეარ, სახლს, მიწას—კიდევ ისე და ეს თქვენი გაზეთაი კი სულ სხვა ჰყოფილა. ღმერთმა ჰკითხოს მის მომგონს!..

— რისთვის?

— რაცა რისთვის? მე, ჩემო ძმაო, ახალი ამბავი მწყურია, ჭკვის სწავლება მინდა და თქვენ კი ლანძღვა-გინებას მაჩეჩებთ ხელში. ეს ამისთანაა, ის ამისთანაა... ვიღაც ორი-სამი კაცი აგიჩემებიათ, ძმობას გეფიცები, რომ შევხვდებოდე, შეეკვედებოდი იმ ყაზილარებს. ხუთი წელიწადია აგერ, მათი გამოისობით მოსვენება არა მაქვს. აგიდა!.. ეს და ეს პორთფელით დადისო, აგი და, ამან და ამან ბევრი ლაპარაკი იცისო, აგი და, ამას და ამას თავზე მელოტი უჩდებაო და სხვა!.. რა გამოდგა ეს ორი-

ოდე კაცი, რომ მათი ალიან-ჩალიანი ყველამ უნდა ეიცოდეთ? და თუ კი საჭიროა, ბატონო, გავიგეთ და ეიცით. ხუთი წელიწადი რავა ეერ დავისწავლიდი, რომ ამა-და-ამ კაცს პორთფელი აქვს, რომ იგი ჩირათ არ ღირს, რომ თავ-უკუღმა ჩამოსაკიდია, დასაკირავია და სხვა... აწი იმის პორთფელს გარდა არაფერია ამ დასაქცევ ქვეყანაზე?

ჩემი გურული დაჰფიქრდა და მერე დაღონებით განაგრძო:

— ეთხოვეთ მეგაზეთეს, ნუღა გვახჩობ, გვეპატიე, ცოტა შეღავათი მოგვეცი-თქო. ოცდა ხუთმა კაცმა მოვაწერეთ ხელი და გავუგზავნეთ ბარათი, მაგრამ, არ გაგიწყრეს ღმერთი, ყურიც არ გაიბერტყა: არც ბარათი დაგვიბეჭდა და არც პორთფელს მიანება თავი. მიაქეს ეს თუმნიანები და გვიგზავნის ლანძღვა-გინებას: გინდათ, არ გინდათ, ნახეთ ეს თაიგულიო. ახლა იცი, რა გითხრა: თვითონ იმ გალანძღულს გვინდა ეთხოვოთ, მოგვეყიდოს ეს მისი პორთფელი და გადაგვარჩინოს ხათაბალას. თუ ჰქნა, ხომ კარგი, თუ არა და დავიღუპეთ, დაღუპულა შენი მტერი!..“

მე მგონია, რომ ეს პატარა საუბარი ჩინებულათ ასურათებს ჩვენ მწერლობას. მისი მდგომარეობა ერთნაირათ სამწუხაროა, როგორც მკითხველთათვის, ისე მათთვის, ვისაც ამ მწერლობისათვის შეუწირავს თავისი ძალ-ღონე. ერთნაირათო?.. არა. ერთი ათათ უფრო საშინელია მწერლობისათვის, ვინემ მკითხველთათვის. მკითხველიც ისჯება, რასაკვირველია, მაგრამ მისი ტანჯვა კიდევ სხვაგვარია და მწერლის სხვა... მწერალი და მერე კიდევ ჩვენებური მწერალი,— განა არის ამაზე უბედური ქმნილება?!..

მე რომ კარგ გუნებაზე ვყოფილიყავი და საალსარებოთაც მქონოდა თავი მომზადებილი, აი, რას ვეტყოდი „გაკუჭიანებულ“ გურულს:

— შენ, ჩემო ძამია, შენ შენსას ტირი და ჩვენი ამბავი კი არ გინდა იკითხო. ჩვენ, ესე იგი იმ პირთა უმეტესობა, რომელნიც კალამს ვეტრფით და მისით ვცხოვრებთ, უარეს ცეცხლში ვიწვით, უფრო ცხელ ტაფაზე ვიხრაკებით, ვინემ შენ და შენი მოძმენი. შენ უცხო კაცი ხარ მწერლობისთვის,— შენ გულს, შენ სიმპატიას, შენ სიყვარულს ათასი სხვა რამე იზიდავს და ასაზდოებს. ამას გარდა, შენ გაქვს შენი საქმე, შეიძლება პატარა, მაგრამ საკუთარი და საყვარელი საქმე, რომელსაც ჰმართავ, უფლი, რომლის ავი და კარგი გახარებს და გასულდგმულებს, რას შეგაწუხებს შენ რაღაცა მწერლობის ალიან-ჩალიანი? გაზეთი არ მოგწონს? ილანძღება? ცრუობს? — მიაგდე კუთხეში და გათავდა. ეს არც მადას წაგიხდენს, არც თმას გაგითეთრებს, არც შუბლს დაგიღარავს ჯავრით. შეატყობ კი, რომ რაღაც გაკლია, რომ ჩვეულებრივათ არა გრძნობ თავს, რომ ერთი კმაყოფილება გამოეცალა შენ არსებობას და... მეტი არაფერი. ამგვარ უბედურობას კაცი გაუძლებს, მოინელებს, გაუმაგრდება. მაგრამ ახლა იმის მდგომარეობა იკითხე, ვისაც ერთ საქმეს გარდა არ აბადია სხვა. ვინც ამ საქმეს შეტრფოდა მუდამ, ვინც მისით ცხოვრებს და სუნთქავს,—წარმოიდგინეთ-მეთქი —ამისთანა კაცის მდგომარეობა, როცა ხედავს, რომ ეს საქმე ეღუპება, ეცლება ხელიდან. რა ნუგეში უნდა ასულდგმულებდეს მის ყოფნას? რითი უნდა მოიპოვოს მან გულის სიმშვიდე? რომელ ნავთსადგურში უნდა გამონახოს თავშესაფარი?

ჩვენ კი, ვინც სამართლიანათ, თუ უსამართლოთ (ეს სულ სხვა კითხვაა) ვითვლებით მწერლებათ, სწორეთ ამგვარ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილი. ერთი საქმე გვქონდა, მეტი არაფერი, და იგიც გადაგვისხვაფერდა უკუღმართათ. ქართული მწერლობა, ის მწერლობა, რომლითაც ასე ვყოყოჩობდით, რომელსაც ასე შევხაროდით და შეეტრფოდით, გადიქცა რაღაც იმგვარ ხელობათ, რომელსაც სრულიადაც აღარ ახლავს უწინდელი ნიშან-წყალი. სადღაა ის სიწმინდე, ის უანგარობა, ის ლტოლვილება უზენაეს მიზნებამდე, რომელიც განაშვენიერებდა მის სიყმაწვილეს. კი, მართალია, დროთა-ვითარებამ ბევრი რამ დაგვანახა საგულისხმო, ბევრი ულირსი გვაჩვენა იქ, სადაც ჩვენ ღირსება და ქველობა გვეგონა, ბევრი გმირები გადაგვიქცია კაცუნებათ, მაგრამ მაინც ის, რაც იყო, მასთან რაც ჰრის, როგორც ცა მიწასთან, ისეა დაშორებული. წინეთ გაზეთი თუ ჟურნალი საზოგადო კუთვნილება იყო და არა კერძო, პირადი. „ჩემი გაზეთიო“ კი არ ამბობდენ, ,,ჩვენი გაზეთიო“ —იმეორებდენ სიამაყით. ამისდა-გვარათ გაზეთის ასპარეზიც სხვა იყო, ვინემ ახლა. იგი განაგებდა საზოგადო საქმეებს და გვერდს უდგიდა ყოველ წვრილმან და მით უფრო წვირიან კერძოვნობას. იგი ემსახურებოდა საზოგადოებას, ხალხს, ქვეყანას და არა ივანეს, პეტრეს, თევდორეს. ახლა სულ სხვაა. ქართული გაზეთი ახლა ერთი კაცის კუთვნილებათ გადიქცა და იგი, რასაც უნდა, იმას წერს, როგორც უნდა, ისე წირავს, სადაც უნდა, იქ გამოაბამს ქოთანს ყურს. შენ ბევრიც რომ გქონდეს სათქმელი, თუ კი არ ეპიტნავებათ, არც არავინ გათქმევინებს და ვერც ვერსად იტყვი. რაღა გასაკვირველია მაშ, რომ უბრალო, მუშა-მწერლის თვისებაც გამოიცვალა ძირეულათ. დღეს თუ გინდა მწერლობა, ან თავისი გაზეთი უნდა გქონდეს, ან და უნდა აჭრელდე გველსავით: ხან ერთი თქვა, ხან მეორე, ხან ღმერთს ემსახურო, ხან ეშმაკს. ვინც ამგვა-

რათ იცვალა კანი, მათ მდგომარეობას ძაღლი არ დაჰყეფს, ვინც არა და—ვაი იმისი ბრალი! მათი ყოფნა ათას წილათ უარესია, ვინემ მკითხველთა, რომელთაც მობეზრებიათ თავი ლანძღვა-გინებით...

უაღრესი უბედურება მწერლისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მის წყლულს წამალი არ უწერია. მწერლობა იგი ხაშიშია, რომელიც ერთხელ თუ იგემე, მუდმივ მოთხოვნილებათ გადაგექცევა ხოლმე. არაფერი საქმე, არავითარი ხელობა არ ემარჯვება მისგან შეპყრობილს და რა განსაცდელშიაც ჩავარდეს, მაინც მისკენ უჭირავს თვალი. მკითხველი, ანუ სხვა ხელობის კაცი ახალი საქმით შეიმსუბუქებს ჯავრს, მისთვის კი ეს გზაც დახშულია. უნდა იყოს მიჯაჭვული ამირანსავით იმ ბოძზე, რომელიც ერთ და იმავე დროს მისი სიამაყეც არის და მისი ვაებაც. ამგვარათ სხვების ჯავრთან, სხვების სატირალთან ერთათ, მწერალს მისი სპეციალური, კიდევ უფრო მეტი, უფრო მძიმე უღელი აწევს კისერზე. მე, რასაკვირველია, ვამბობ არა ჭრელა-ჭრელა ეიგინდარებზე, რომელნიც მწერლობას ჩემობენ, არამედ მათზე, ვინც მართლა ღირსია ამ სახელის და, დროთა ვითარების გამო, დარჩენილია შტატ გარეთ...

ზემოთ აღნიშნულისაგან, მე მგონია, შესაძლოა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: ახლანდელი მკითხველი და მწერალი ორივე უბედურია და, მაშასადამე, შესაბრალისია. დევ, თუ სხვამ არა, თვითონვე მაინც შეიწყნაროონ ერთი მეორე. მწერალმა იცოდეს, რა განსაცდელშია მკითხველი და მკითხველმა, რა მოეთხოვება მწერალს. ერთმა მეორეს უმხროს და ორივემ გაინაწილოს ქამთა ვითარების ტვირთი. ამ იმედით მხოლოთ ეუბრუნდები ქართულ მწერლობას, რომელმაც დიდი ხანია აღმომაკვეთია ფეხი. ვიმედოვნებ, რომ მკითხველი არ მომთხოვს იმას, რაც არ მომეთხოვება და რაც აღემატება ჩემს ძალას. ვიბაასოთ დღიურ ვარამზე ისე, როგორც გვებაასება და ჩავიბეჭდოთ გულში ნუგეშათ, რომ დრონი ცვალებადნია. ვინ იცის, ეგებ უკეთეს დროს მოვესწროთ და უფრო საპატიო მოვალეობა გავუზიაროთ ერთი მეორეს...

ᲙᲕᲘᲛᲐᲢᲘ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მცხოვრებთ უბედურების წელიწადი დაუდგათ ადგილობრივი რკინის გზის გამო. ჩვენი მკილხველი საზოგადოება უკვე შეეჩვია უბედურთ შემთხვევების ჭ ამბების ამოკითხვას გაზეთებიდან, რომლებიც მოხდენ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ამ გზაზე. უკანასკნელი დეპეშები რკინის გზის სხვა-და-სხვა ადგილებიდან იუწყებიან ძლიერ საშიშარ მდგომარეობას: ზვავებმა, ადიდებულმა მდინარეებმა, ლამის არის, წალეკოს და დაანგრიოს რკინის გზის ლიანდაგი სადგ. ხაშურს და რიონს შუა. ახალ-სენაკიდან ფოთამდის, მთელი რკინის გზის ლიანდაგი უკვე წყალ ქვეშ ძევს. ნეტა როდის მოვესწრებით ამ საშიშარ მდგომარეობისაგან თავის დახწევას?

* * *

ამას წინეთ „კალში" (იხ. № 12, 1896) დასტამბული იყო ამბავი ს. კუხიდან მეაბრეშუმეთა ამხანაგობის შესახებ. ეს ამხანაგობა სულ ახალი საქმეა, მაგრამ რამდენათ წარმატებით მიდის მისი საქმე, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ასე ცოტა ხნის განმავლობაში ამხანაგობამ დაარსა აბრეშუმის საქსოვი ქარხანა. ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ ქარხანაში ნაქსოვი აბრეშუმის ნიმუშები. ვინც კი გაშინჯა ეს ნიმუშები, ყველას ძლიერ მოეწონა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი დარგი ჩვენი მრეწველობისა საკმარის ბაზარს იპოვის ჩვენში. რედაქცია დიდი მადლობელი იქნებოდა, რომ ამხანაგობა ამ ნიმუშებთან ერთათ ფასებსაც გამოგზავნიდეს.

* * *

20 და 21 მარტს მოხდა სხდომა თფილისის სამკურნალო სანიტარული საბჭოსი, რომელზედაც წაკითხულ იქნა მოხსენება საკუთარი საკუთარი ... გადასახადის შემოღებაზე თფილისში ქალაქის სამკურნალოს გაკეთებისთვის. საბჭომ დაინახა, რომ საავთმყოფო გადასახადის შემოღებას აქვს კავშირი სამკურნალოს გაკეთებასთან, რადგანაც, თუ ქალაქი ამნაირ გადასახადს დაადებს მცხოვრებთ, იმ შემთხვევაში ამ უკანასკნელთ უფასო სამკურნალო თავშესაფარი უნდა ექნეს. რიცხვი იმ პირებისა, რომელთაც წესდების ძალით დაედებათ საავთმყოფო გადასახადი მიახწევს 26, 424 კაცამდის (უბრალო მუშები და მოსული მცხოვრებნი), და რადგანაც უფასო აქიმობის უფლება ამ პირებთა ოჯახებზეც ვრცელდება, ამიტომ საერთო რიცხვი გადამხდელთა 40,000 მიახწევს. ავთმყოფების რიცხვი თფილისში შეადგენს 8,8%; მაშასადამე, საჭიროა რომ სამკურნალოს ექნეს არა ნაკლებ 250 საწოლისა. ამნარი სამკურნალოს გაკეთება, რომელსაც დაჭირდება 10,000 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა, ქალაქს დაუჯდება 290,000 მან., და ყო-

ველ წლიური შენახვა სამკურნალოისა და მის მოსამსახურეთა ეღირება 94,000 მ. მაგრამ რადგანაც ამნაირი ხარჯის გამოღება ჯერ ქალაქს არ შეუძლია, საბჭომ დაადგინა დროებით მაინც გახსნას სამკურნალო 50 საწოლით, რისთვისაც საკმარისი იქნება 25,000 მ., და დანარჩენ ავათმყოფთა დასაკმაყოფილებლათ აძლიოს მიხაილოვის სამკურნალოს წლიურათ 28,000 მ.; ამის-და-კვალათ თვითოეულ პირს წლიურათ დაედება 1 მ. და 80 კ. საავათმყოფო გადასახადი. ამას გარდა, რადგანაც საავათმყოფო გადასახადი ახლანდელი წესდებით ქალაქის მცხოვრებთა ერთ ნაწილს ედება, და უფასო აქიმობის ნება კი ყველას აქვს, ამიტომ სასარგებლო იქნება, რომ ამ გადასახადში ღებულობდენ მონაწილეობას ქალაქის ყველა მცხოვრებნი. ეს წინადადება უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს განსახილავათ („Нов. Обоз.)"

***

რედაქციას მოუვიდა ქართული თარგმანი ედუარდ ბელამის სოციოლოგიური რომანისა „ას წელს შემდეგ". თარგმანი ეკუთვნის ბ. დ. კალანდარიშვილს, გამოცემა ან. გოგიაშვილისა. ეს წიგნი ძლიერ საინტერესოა ჩვენი საზოგადოებისათვის; ამასთანავე სუფთათაც არის დასტამბული და ღირს 1 მანეთი.

***

პეტერბურღიდან იუწყებიან, რომ არსდება ახალი შავიზღვისპირის გუბერნია.

***

თფილისის საპატიმროებში წასული 1895 წ. იანვრისთვის ყოფილა სულ 585 კაცი და 17 ქალი. მთელი წლის განმავლობაში მიუყვანიათ 3,067 კაცი 189 ქალი, გამოუშვიათ 3,024 კაცი და 195 ქალი. ამნაირათ 1896 წ. პირველ იანვრისათვის დარჩენილა თფილისის საპატიმროებში 628 კაცი და 11 ქალი („ივერია").

საყურადღებო ამბები.

ამ დღეებში ბ. აკაკი წერეთელს მოსულია კუნძ. სახალინის ქართველებიდან წერილი. ეს წერილი პატივცემულმა აკაკიმ ჩვენს რედაქციას გადმოსცა. წერილის დამწერი ამბობს, რომ კუნძულ სახალინზე მცხოვრებ ქართველობამ დამავალაო, ვისმესთვის მიმემართა საქართველოში თხოვნით, რომ საქართველოს ისტორია და რომელიმე ქართული გაზეთი იმათ მიაწოდონ. მაგრამ საინტერესოა, თუ რანაირი თავმდაბლობით და ბოდიშის მოთხოვით მიმართავს ავტორი ჩვენ საზოგადოებას. წერილში ჩართულია ლექსი, რომელშიაც გულ უბრყვილათ არის დახატული უბედურების გამო შორს გადახვეწილი ადამიანის სულისკვეთება (ლექსს ეტყობა, რომ მისი დამწერი გურულია). ბოლოს წერილის ავტორი კიდევ მოგვმართავს და გვთხოვს, რომ ვაცნობოთ, გაეგზავნებათ მათ თუ არა ქართული გაზეთი ან საქართველოს ისტორია, რადგანაც ამის მსურველი არა ერთი და ორია: ყველა ქართველების რიცხვი სახალინის კუნძულზე 500 კაცს აღემატებაო, რომლებიც გვარიანათ ცხოვრებენო. ამისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული რედაქციები მიაწვდიან გარემოებათა გამო დაჩაგრულთ თავიანთ გამოცემებს. ადრესი Ост. Сахалинъ, П. Александровскъ, поселенцу Абраму Квиркелія.

***

ს. ბორჩი (კაცხის საზოგადოება, შორაპნის მაზრა) ამ წლის თებერვლის 29 მოხდა ერთი საზარელი საქმე კაცხის საზოგადოებაში. ამ საზოგადოებამ თავის ბოქაულის ღიდი მაცადინეობით აგერ წელიწად ნახევარი იქნება, რაც სასოფლო შკოლა დაარსა, რითაც ყველა ოტათ თუ ბევრათ შეგნებული პირი იყო მოხარული, მაგრამ ეს ღიდათ სასიამოვნო საქმე შეცვალა ამავე საზოგადოებამ სამწუხარო ამბათ. ოცდა ცხრა თებერვალს მოიყარეს თავი ყველა გლეხებმა: შკოლის მდგომარეობის გაუმჯობესობის მაგივრათ მთელ წინანდელ ნაშრომ საქმეს ერთ ნახევარ საათის განმავლობაში მოუღეს ბოლო: დაამტვრიეს შკოლა, რომელიც სოფლის სასამართლო სახლში იყო მოთავსებული, ბავშვების საჯდომი სკამები, დაფები და რაც რამე იყო შკოლაში სამოსწავლო ნივთები გამოიტანეს გარეთ და დაყარეს ეზოში დამსხვრეული, რომლის დანახვა კაცს ტრუანტელს მოგვრიდა ტანში. მასწავლებლები შეიმწყვდიეს ოთახში და უპირობდენ მოკვლას ცოლ-შვილით, რომ ამავე საზოგადოების მამასახლისს არ ეპატრონებია. რა არის მიზეზი ამ საზიზღარი მოქმედებისა? უმეცრება თუ სიღარიბე?—არც ერთი, და არც მეორე, არამედ ის, რომ ახლანდელი სოფლის შკოლა თავის პროგრამით არ შეესაბამება ჩვენი სოფლების მოთხოვნილებას, რაც არა ერთხელ გამოაშკარავებუ-

ლია. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი გლეხები. ამიტომ მივაქცევთ ამაზე ყურადღება', ეისიც ჯერ არს.

გიორგი.

***

ფოთი. მარტის 17-ს საქალაქო დარბაზში დანიშნული იყო კრება ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. კრებას უნდა აერჩია ორი დირექტორი, რადგან ძველ დირექტორებს ვადა შეუსრულდათ. ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული, მაგრამ აქ რასაც აზრის ბრძოლას ეტყვიან, ადგილი არა ჰქონდა. „ვინც უნდა იყოსო", ამბობდენ ამოვრჩეველები.

სანამ ანგარიშების წაკითხვას და არჩევნებს შეუდგებოდენ, კრებამ აირჩია თავ-მჯდომარეთ ადგილობრივი მსაჯული, იგივე საკრედიტო საზოგადოების წევრი ბ. მრეველიშვილი. ანგარიშების წაკითხვას შემდეგ, რამდენმე წევრმა მივართა ბ. თავმჯდომარეს შემდეგი თხოვნით: რადგან აქ უმეტესობა სულ ქართველობაა და ამის გამო რუსული ენა ბევრს არ ესმის, საჭიროა, რომ ანგარიში ქართულათაც გადითარგმნოს და წაკითხულ იქმნას ამავე კრებაზე, რომ ამით ყველას მიეცეს საშუალება ბანკის თავ-გადასავალი და საქმეები ცოტათი არის მაინც გაიგონ. ამ კეთილ აზრს ბანი დასძინა ერთმა უცხო ტომის პირმა, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში, უანგაროთ მოღვაწეობდა ამ დაწესებულებაში, მაგრამ, საუბედუროთ, თავმჯდომარემ ამაზე უარი უთხრა საზოგადოებას: „მე არ შემიძლია თქვენ ქართულათ აგიხსნათ წაკითხული და არც არავის სხვას ეაძლევ ამის ნებასო. მე უადგილოთ ვთვლი სახელმწიფო ენასთან ქართულათ ლაპარაკსო". ამ სიტყვებს ჰკვერი დაჰკრეს მთლათ ბერძენთა გუნდმა გამარჯვების ნიშნათ. და ბოლონ თავმჯდომარემ გული ამით მოიჯერა: „ვისაც რუსული არ ესმოდა, მან რატომ თან მთარგმნელი არ მოიყვანაო". მაგრამ ამნაირი სიტყვებით მიმართვა საზოგადოებისადმი დაცინვა იყო და მეტი არაფერი, რადგანაც გამგეობის განცხადება გვეუბნებოდა: „კერძო პირთ კრებაზე დასწრება სასტიკათ აღეკრძალებაო!"

როცა არჩევნები დაიწყო, ბ. ალანია, ძველი დირექტორი, ჩვეულებრივათ ერთ ხმათ იქმნა არჩეული. შემდეგ მეორე დირექტორის ალაგზე იყარეს კენჭი შემდეგ პირებმა: ბ. ელიოპულომ (68 თეთრი და 121 შავი), ქალაქის საბჭოს მდივანმა, ბ. ტატიშვილმა (105 თეთრი და 86 შავი), ბ. ა. ხოშტარიამ (110 თეთრი და 81 შავი) და ბ. ბაქბეუკ-მელიქოვმა (63 თეთრი ხვდა და 124 შავი). ამნაირათ მეორე დირექტორათ არჩეულ იქმნა ბ. ხოშტარია.

ი. ინანეული.

***

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოეუცხადო იმ პირთ, რომელთაც ასკანის სამკითხველოსთან და აწყურის სკოლასთან ერთათ ჩემდამი რწმუნებულ პირველ ნიგოითის სკოლასაც გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" ამ წლისა.

მასწავლებელი პირველი ნიგოითის სკოლისა კონსტანტინე კიკიანი.

მ ო თ ქ მ ა.

შეტურდ უმეტრებაში
ქვეყანა ძველის-ძველია,
დრომ ქედი მოადრეკია,
ღამის მოწყვიტოს წელია,
სიმართლეს ფერხთ ქვეშ თელავენ,
ბოროტს შეუწყვეს სელია,
სასლის ბატონი გარეთ ძრწის,
სტუმარი მასპინძელია.

—

მშობელი შობილს ადარ ცნობს,
მხოლოთ უფურებს გერათ,
ძმა ეწყვება ძმის სისხლსა,
მოუკვრეს ისდის მტერათ,
სიყალბე სჯულთ გვქცევია,
ბრჭა გულის თქმანი — რწმენათ,

მსაჯულთ თუდი გამხდარა,
ნამუსი—თვესის მტვერთა.

—

თანსმობა ძირში იტელვის,
ნატვლთ ითესვის შურია,
განსეთქილობა თერთს ისსმს
და ქტევა უწმაწურია,
შეირეა წმინდა ზნეობა
და ენა სალხინურია,
შეჩერდა სისხლის დუღილი
ძარღვებში გაჟანგურია.

—

ვერ იმეის თავისუფლთა
ჭირნასულს მისი მთესავი,
ურ-ჭეეეს მტნება ქრისტესი,
გამრავლდა მეკეკნელ-მსრესავი,
სულსა გვიშოოებს, გვიწუსებს
დრო უკუღმართთ მბრუნავი.
ეტის სიცოცხლე ბრძოლაა,
ცხოვრების ზღვაში მცურავი.

—

საწუთრომ ავი თვალი გვკრა,
გაჭრა ბრწყინვალე სანთელი,
აწმეო ჩრდილია, შორეა
ის სანეტარო ნათელი,
მშობელი ქვეყნის მტერია,
მისიგე შვილი ქართველი,
სულთაგან გამოგვეცალა
თვით-არსებობის სასელი.

—

ჭე, ღმერთო, სულთა მბურობელო
სასწორ-მხედველო ადამისა,
დაუწყებელო, უკვდავო
და მდინარეო მადლისა.
მაგნე-ავ სულთა ლასვარო,
მარად მფარველო მართლისა,
ისმინე ხვედრის ჩიგილი
და მწარე კვნესა ქართველისა.

—

აწ მომაკვდავთა მის შვილთა
შთაუდგი მტკიცე სულიო,
ეკლავ შთაუნერგე, ასწავე
ძმობა და სიყვარულიო,
სოფლისგან ნაგვემთ მეოს ჭეეგნ,
განგურნე მათი წულულიო
და აღუდგინე სავსებით
დიდება ეროვნულიო.

გრიგოლი გ—ნავა.

სიტყვა, თქმული თავ. ნ. ტ. დადიანის მიერ ველათის მონასტერში, 10 მარტს 1896 წელს.

ჩვენი ისტორია მდიდარია დიდ-სული, დიდ-ბუნება კაცებით; ჩვენი წასული დრო აღსავსეა გონებისა და გულის მოდვაწეთა წარჩინებული, ახოვანი რაზმით,—აწმყო კი ერთობ ღარიბი და ნაკლულევანი ქამთა ვითარებითა... ამ დროს, როდესაც მძიმე საისტორიო გვემათაგან გამოვლილნი, დაგლილნი, დამაშერალნი სულს ვიბრუნებთ, ძილის დახსნილებას მივცემივართ, გაელილი ქამი ჯერ ვერ გამოგვიწელილავს და მდგომარეს ვერ მივმხედარვართ, გვეჭირვებოდა გამომაფხიზლებელი ძლიერი სხიეი ცხოველის სიმართლისა..

როდესაც ამისთანა ისტორიულ უბედურებათა გადამხდელი ქვეყანა, მათგან დარბეული სულით ხორცამდე, დუნდება, მისი ძალ-ღონე გონებითი და ზნეობითი წვრილმანდება, იშლება, ხურდავდება, მაშინ თვით მისი უწინდელი დიადი ღვაწლიც შეიქმნება საცილობელი, საეჭვო: სული ჭოჭმანებს სხვადა-სხვა რჩევასა და გზას შუა, ცხოვრება იწროვდება, კერძოვდება, ავსა და კარგს უთავ-ბოლოთ ეხლება, ცდება;—მაშინ განგებულება მოაელენს ხოლმე ხორც-შესხმულ სულს სიმართლისას, დიდ-ბუნება კაცს, საყოველთაო მოძღვარს, რომელსაც თავისი ქედით უტვირთავს და მოაქვს „ყოველი ჭეშმარიტება“ ისტორიისა...

ამისთანა მოძღვარია ყოველად-სამღვდელო გაბრიელ: ეს არის ზე-გარდმო მოელენილი მოწამე და მოღვაწე, რომელმაც თავისი გონების ძალით, ხასიათის სიმტკიცით და გრძნობის სიწმინდით ახოვნათ გადაბა სინამდვილე წარსულის ქამის მოთხრობისა ამ დროს ცხოვრებას და თვით მხნეთ ჩადგა დიდებულთა მოძღვართა კრებულში, მოწინავე მოღვაწე-

თა რაზმში თვით ჩვენის თვალის წინ. ამას ეჭვი ვერ მიეკარება, კრიტიკა ვერ მიუდგება: ეს ბედნიერება ერგო ჩვენს დროს, რომ ამას ჩვენი თვალით ვუყურებდით, ჩვენი ყურით ვისმენდით, ჩვენი ბაგით ვემთხვეოდით,—ეს იყო განხორციელება ჩვენის ისტორიისა, განმაცოცხლებელი მისი სიმართლისა, მისის დიდებისა. ეს არის ჩვენი ზნეობის მწყემსი, წინამძღვარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის ზიარი, ჩვენი სახელი, სიქადული, სიხარული ჩვენი დროჲსა; მაგრამ... ვაჲ!.. აწ ამ სიხარულის „წარხდომას“, ვეაებთ და ვიგლოვთ, რომ ეს მადლი ჩვენის ქვეყნისა ამიერითგან მარტო ისტორიას დაეკუთნა და ჩვენ აქობლათ დაგვტოვა. შეძრწუნებული გულით ვუმზერთ საფლავათ ჩამავალს მუშაკს „მადლისა და ჭეშმარიტებისას“, გულის ტკივილით ვეთხოვებით „მშვიდობისა და სიყვარულის“ მოძღვარს, სიობლის მწუხარებით ვაბარებთ სამარეს საყვარელსა და სანატრელს მამას... აქ ნუგეში ძნელი სათქმელია, რომ თვითონვე არ იყოს ნუგეშინის მცემელი სიცოცხლის ღვაწლითა და სიკვდილის დიდებითა: მან განაღვიძა და გამოიწვია გულში მთელემარე წმინდა გრძნობა კაცობისა და ქრისტიანობისა ჩვენ შორის, გაგვიცოცხლდა და წინ დაგვიყენა დიდი სახე დიდთა მოძღვართა ჩვენის ეკლესიისა, ჩვენის ერისა, ჩვენის სულიერის ღონისა; ამოიგო მსოფლიო ისტორიაში სამშობლო ქვეყნის წილი გონების მოღვაწეობისა; პირი დაუყო უმეცარ მოჩემართა; ასწია თავისი მხრებით მძიმე ლოდი სამარისაგან მივიწყებულის საერო ღვაწლისა და გამოაბრწყინვა მისი სახელით მთელი ქვეყნის წინაშე სახელი მშობლის ქვეყნისა; ღრმათ გაავლო ნათელი კვალი წასულსა და მომავალს შუა; გვიანდერძა სიყვარული, შრომა და სწავლა; გვიჩვენა გზა ნიჭთა და ღონეთა ხმარებისა; ურწმუნოსა სარწმუნოება ჩაუნერგა, იჭვნეულს ეჭვი ჩამოაცილა და მორწმუნე უმეტესათ განამტკიცა... თავს შემოავლო სამწყსოს და სამშობლოს ყოველი თავისი საძრაობა, სიმრთელე, სიცოცხლე და ღვაწლ-შემოსილი შეერთო დიდებულ მწყობრს სჯულისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა მამა-პაპათა!...

ამ დიდს ადგილს—გელათს აღმაშენებელის შრომისა და განსვენებისას აწ შეეწყნარება და განისვენებს კვლავ აღმაშენებელი და განმაახლებელი ჩვენის ზნეობისა, მადლი ზეცისა, განგებულებისაგან მოვლინებული წინამორბედათ ჩვენის სულიერის განახლებისა და აღშენებისა. თაყვანს ვცემ სიწმინდესა ამას, წასულისა და აწმყოს შემყრელსა და შემუსვრილი გულით ვილოცავ, რათა მადლითა და ვედრებითა განსვენებულის მეუფისათა—სიტყვათა და სწავლათა მისთა მორჩილებითა დავადგეთ მის კვალს და მივეკვლოთ შრომითა და სწავლითა აღშენებულს მომავალს,—უკვდავესა და კურთხეულს ძეგლსა და ნაყოფს მისის მოღვაწეობისა.

სპილოები ინგლისის და ინდოეთის ჯარში.

რამდენათაც ვიცით ისტორიიდან, სპილოებს კიდევ ძველ დროშიაც ხმარობდენ სამხედრო საქმისათვის. დარიოსის დროდან, რომელმაც პირველათ გამოიყვანა ეს უზარმაზარნი ცხოველნი ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ, სპილოები ხშირათ იხსენებიან სამხედრო ისტორიაში. ევროპის ისტორიის საათვეშიაც, სპილოები ძლიერ ხშირათ იყვენ ხმარებაში. გაეიხსენოთ ომები კართაგენელთა, ეპირის მეფის პიროსისა და ბოლოს თვით რომაელთა, რომლებსაც ასობით გამოჰყავდათ სპილოები ომების დროს. აქ ინდოეთის სპილოებთან გამოყავდათ აგრეთვე აფრიკის სპილოებიც. ჩვენ დროში სპილოებს საბრძოლველათ აღარ ხმარობენ, მხოლოთ ინგლისელები ინდოეთში ხმარობენ მათ სიმძიმის გადასატანათ, უმეტესათ არტილერიის იარაღებისა. ამ მიზნისათვის კი სპილოები უფრო გამოსადეგი არიან, ვინემ ცხენები და ხარები.



ᲡᲞᲘᲚᲝᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲘ.

მესამოცე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

V *)

ევროპიელები. თუ საქართველოს სრული გაევროპიელება სომხობის ინტერესი არ არის, თვითონ ევროპიელთათვის, კი ძალიან სასურველია. ესენი ჩვენ პირდაპირ ევროპასთან გვაახლოებენ. ეს თვალსაჩინოა არა თუ დღეს, არამედ ისტორიულ წარსულშიაც. გასულ საუკუნოებში ევროპიელნი ჩამოდიან ქვეყნის გასაცნობათ, ასაწერათ, აზრების გასავრცელებლათ (პატრები) და სხვ. იმ დროის უგზო-უკლობაში ასეთ მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფენი, კარის-კაცები თუ რამეს ტყობილობდენ ევროპის შესახებ, ამის მიზეზი ევროპიელი მოგზაურნი იყვენ. ესენი უამბობდენ ევროპის ამბებს. ასეთი ძმობა, პირადი გადაცემა ერთათ ერთი საუკეთესო საშუალება იყო. გაზეთები, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინის-გზები, მაშინ ხომ არ ყოფილა, რომ ყოველიფე დაუყონებლივ გაეგოთ. ირაკლი მეორემ „ევროპისა არა იცოდა-რა, მხოლოთ იმის მეტი, რომ ხანდახან პატრები იახლებოდენ და ისინი უამბობდენ ევროპის ამბებსა, ან ოდესმე ევროპის მოგზაური მოვიდოდა, ისინიც“. (იხ. ზემოთ დასახელებული წიგნაკი). თუ ასე იყო, მე-თერამეტე საუკუნის გასულს, რაღა უნდა ყოფილიყო წინა ხანებში! ევროპიელთა ზე-გაელენას უნდა მიეწეროს, რომ მეფენი ევროპისაკენ ილტვოდენ, დახმარებას და მფარველობას აქ ეძებდენ. ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს საბა სულხან ორბელიანის ევროპაში გამგზავრება და იქ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ რომის პაპთან და ზოგ გვირგვინოსანთან მოლაპარაკება. ამ გვარი მიმდინარეობის შედეგია ისიც, რომ ევროპიელნი ცდილობენ ქართული ენის, ზნე-ჩვეულების შესწავლას. ერთი სიტყვით ქართული მწიგნობრობა მათთვის საინტერესო გახდა. ქართულ წიგნებს იძენენ და ინახვენ სხვა-და-სხვა წიგნთ-საცავებში (რომში, პარიჟში და სხვ.) და ვინ შეადგინა პირველათ საქართველოს ისტორია? იმავე ევროპიელმა (ბროსემ), რომლის მეოხებით ევროპის მწიგნობარ ხალხს საქართველოს ისტორიის გაცნობის საშუალება მიეცა.

ევროპიელთ ჩვენში მოგზაურობისათვის ძალას ატანდა მხოლოთ ცნობის მოყვარეობა, ახალის ნახვა და გაგება, სარწმუნოებითი გატაცება, და არა ანგარება, სიმდიდრის შეძენა და ხალხის გაყვლეფა. ფულის საშოვარი პირობები არ ყოფილა და მოგზაურნი ხომ ვერ გადაქმნიდენ ჩვენ ცხოვრებას. საეჭრო ნიადაგი მომზადდა მაშინ, როცა ხალხში ფულის მოთხოვნილება გაძლიერდა და ძველი კარჩაკეტილი ურთიერთობა დაილეწა. ამ პროცესში ჩვენ დღეს ვცხოვრებთ. მართალია ევროპის გზას დავადექით, მაგრამ სრული გაევროპიელებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ. ერთ კიდეს კი მოვცილდით. მაგრამ მეორეს ჯერ კიდევ ვერ მივადექით. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განვითარდით, მარა საკმაოთ ვერ განვითარდით. ასე შუა გზაზე გაჩერება სასარგებლოა, როგორც ზევით ვთქვით, სომხობისათვის, საზოგადოთ ჩარჩულ ეაჭრობისათვის, ხოლო ევროპიელთა ანგარიშში კი არ შედის. ევროპიელი ფულს იგებს წესიერათ, თანახმათ ყოველივე ეკონომიური კანონებისა. ის ამნაირ გარემოებაშია აღზრდილი, ასეთი იდეები აქვს შეთვისებული. ის ჩვენში არ წამოვა იმიტომ, რომ აქ, სოფელში, საწვრილმანო დუქანი გახსნას, გოგიას და პეტრიელას ნაცარში ჩაუჯდეს და ორი გროშის გამოტყუებისათვის ღირღიტი დაუწყოს. ის თუ მოდის, მოდის დიდი ფულით. სურს გააპოს მთა-გორი, არ დატოვოს გაუშინჯავი ქვესკნელი, უნახავი ტყე-ველი, რომ რაც კი რამე სიმდიდრეა, ადამიანთა ხელში გაატაროს და მით ფულს ფული მოაგებინოს. ის ისე ვერ დადგება, თუ დიდი საქმე არ აწარმოვა, ბევრი ფული არ დაგროვდა, მუშა-ხალხი არ დაიქირავა, სოფელი, ქალაქი, ქვეყანა არ შეძრა. ევროპიელი ძველებურ წყობილებაში ვერ გაძლებს, ვერ დაეტევა, აქ მას არ ყოფნის ჰაერი სასუნთქავათ, სივრცე გასანძრევლათ, დრო საცხოვრებლათ, ასეთ მდგომარეობაში-მყოფ ხალხს ის უწოდებს ზარმაცს [1]), სიცოცხლე მოკლე-

*) იხ. კვალი № 13.

[1]) „კელნის გაზეთის“ („Kolnische Zeitung“) დეკემბრის ნომრებში საქართველოდან ერთი მოგზაურის კორესპონდენციები დაბეჭდა. ერთ ადგილს სხვათა შორის ამბობს: ქართველები ისე ზარმაცებია, რომ სომსების ბატონობისაგან თავი ვერ დაუღწევიათო. მხოლოთ ქალებს გვიქებს: პატარებია, მარა გასაგიჟებელი ლამაზებიაო. En passant ევროპაში თუ ვინმე გვცნობს, მხოლოთ იმით, რომ საქართველოში ლამაზი ქალებიაო. ცსადია, ჩვენმა დედაკაცებმა ევროპის წინაშე უფრო მეტი სამსასური გაგვიწიეს, ვინემ მამაკაცებმა!..

ბულს. ადამიანი, რომელიც თავის სოროდან არ გამოდის, კერიას არ ცილდება, მისთვის კვდარია. ის ელტვის ყველაფერი გააქანოს, ყველაფერს ხელი შეახოს, მთა-მთას შეატაკოს, ხალხი ხალხში ათქვიფოს, დრო, გზა შეამოკლოს, ერთი სიტყვით ქვეყანა თავის სახისამებრ გადაქმნას, სადაც კი ევროპიელი ფეხს ჩაბიჯებს, იქ ყოველივე ძველი ინგრევა, მანამდი წმინდათ მიჩნეული ჩვეულებები ისპობა, ეღარაფერი ზეზე ვერ დგება. ვაი იმ ხალხს, რომელიც ამ უმოწყალო დაქცევაში თვითონ არ იღებს მონაწილეობას, თავისი ხელითვე არ არღვევს ძველ პირობებს და მათ მაგიერ ახალს არ აშენებს! მას უთუოთ გადაშენება მოელის. ასეთი ბედი ხვდა ყველა უკულტურო ხალხს, რომელიც ევროპიელთა მიახლოებებასთანავე ქვეყნიდან აღიგავა. რატომ? იმიტომ რომ თავის ცხოვრების გადასხვაფერებისათვის, გაევროპიელებისათვის, თვითონ ვერ დარჩა მომზადებული და დამნგრევე-ამშენებლის როლი ევროპიელმა იტვირთა. სადაც კი ასე ხდება, იქ ადგილობრივი მკვიდრი დედა-მიწიდან ჰქრება.

ჩვენ, ქართველებს, რომლებმა ერთი ევროპიული ხანა—ფეოდალური უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაევაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ევროპიელდებით და მაშასადამე მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ეიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განივითაროს ძალა, აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა. თვით-მოქმედება, თვით-მოძრაობა, თვით-აზროვნება—აი, რა უნდა ეწეროს მის დროშას. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს—აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავალის ორმოს ამომთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩვენი ჩაყრა, რომ შემდეგ თავისუფლათ იპარპაშოს. აი, აქ სიფრთხილე, prenez garde!

ევროპიელები ჩვენში ასეთ როლს არ თამაშობენ. ისინი ცვლიან ჩვენ ეკონომიურ წყობილებას, ავითარებენ ეროვნულ შრომას, გააქვთ ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე და მით გვაკავშირებენ მსოფლიოსთან. მათი ინტერესია საქართველო ერთიანათ დასერილი იყოს გზა-ტკეცილებით, რკინის გზებით, ტელეგრაფის მავთულებით, იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზდილი, განათლებული, მწერლობა აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მათ ენატრებათ ევროპა საქართველოში. მხოლოთ ასეთ ნიადაგზე ეადვილებათ შრომა და თავის მიზნის განხორციელება.

რუსები. მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ცხადია, ჩვენში რუსის ელემენტი უნდა გაძლიერებულიყო. რუსული მართვა-გამგეობის, კანონების და წესების დასამყარებლათ საჭირო იყვენ ახალი კაცები, ახალი მმართველები. საიდან უნდა მოსულიყვენ ისინი? რასაკვირველია იქიდან, საიდანაც ახალი წესები მოდიოდა. ამაების ადგილობრივი მცხოვრებთათვის ჩაბარება ნიშნავს ადგილობრივი ელემენტის გაღონიერებას, ადგილობრივი ენის, ზნე-ჩვეულების და ხასიათის გაგანიერება-განმტკიცებას. როგორც ხედავთ, ეს ორი სხვა-და-სხვა ერთიმეორის წინააღმდეგი მომდინარეობაა. მაგრამ სანამ საქართველო-რუსეთს შორის მისვლა-მოსვლა შეფერხებული იყო, მანამდი ძალა უნებურათ ქართველებით უნდა დაკმაყოფილებულიყვენ. ეს მით უფრო, რომ მაღალი თავად-აზნაურობა, რომელმაც საქართველო რუსეთს ჩააბარა და დაუმორჩილა, ძლიერ სანდო და ერთგული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ის შეიქმნა მიწეული ახალი წყობილების ცხოვრებაში გასატარებლათ. ასე გასინჯეთ, მთავარ-მართებელს თ. ციციანოვსაც გაჭირების დროს თავი ქართველათ მოაქვს, რომ მოწინააღმდეგენი დაარწმუნოს, ვითომც ის საქართველოს ინტერესს იცავს (იხ. ბ. ფრონელის ზემოთ დასახელებული წერილებში). მდიან-ბეგები, ბოქაულები, ნაცვალ-მამასახლისები, მაიორები, ღენერლები და სხვა საპატიო მოხელენი ქართველი თავადაზნაურია. ესენი ამშვიდებენ აჯანყებულთ, იჭერენ მეფის ჩამომავალთ, მიყავთ რუსის ჯარი მიუვალ ადგილას, უმაღლეს მთავრობას ატყობიებენ საიდუმლო ამბებს, დაფარულ სიმაგრეებს და სხვ. სამაგიეროთ ჩინს, ჯამაგირს და წარჩინებას ღებულობენ. მოხელე, ჩინოვნიკი, რაც წინათ ჩვენში სრულებით უცნობი იყო, სანატრელ თანამდებობათ გახდა. ერთი სიტყვით თავად-აზნაურობა მოკლე დროში კინაღამ გადაიქცა იმათ, რათაც საუკუნოებმა რუსეთის აზნაურობა გადაქცია—Служилое сословіе (მოსამსახურე წოდებათ). ასეთი სანეტარო დრო დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მესამოცე წლებს შემდეგ მოხელეობისათვის საჭირო შეიქმნა სწავლაც. თავადაზნაურობა შკოლებს მოაწყდა, მარა კარები დახურული დახვდა, შენზე უფრო მომზადებულები სხვდან შიგო. ქართველს უჭირს ეგზამენის დაჭერა იმიტომ კი არა, რომ უნიჭოა, არამედ იმიტომ რომ რუსული ენა ზედ-მიწევნით არ იცის, ე. ი. რუსი არ არის. აქედან იწყება რუსის მოხელეთა გამრავლება და ქართველების შემცირება. რაც წინ წავალთ ეს უფრო და უფრო გაძლიერდება და ქართველს თანდათან აგრძნობიებს მისი ასპარეზი მოქალაქობრივი ნიადაგია და არა მუდამ სხვის კარზე მათხოვრობაო.

ეკონომიურ ასპარეზზე ჩვენში რუსები სუსტია. ისინი მეტოქეობას ვერ უწევენ ვერც სომხებს, ვერც ევროპიელთ და ვერც ქართველთ. ეს ასეც უნდა იყოს. რუსეთი ამ მხრით ჩვენსაკით ჩამორჩენილია. იქ არ ტრიალებს იმდენი კაპიტალი, რომ ადგილობრივათ დაბანდება შეუძლებელი იყოს და საქართველოში წამოვიდეს. ევროპიელი ჩვენში მოდის იმიტომ, რომ ევროპაში დიდი ფული ტრიალებს, საქმე კი იმდენი არ არის, ამისათვის ის გადააქვთ ქვეყნის ყოველ კუთხეში და ყოველ ერში. რუსეთს კი ეს არ შეუძლია. როცა ის ისე გაღონიერდება, რომ საქართველოს თავის კაპიტალს მოაწვდის, მაშინ ქართველობაც იმავე ფეხზე იქნება დამდგარი და რუსეთის კაპიტალს თავის კაპიტალს დაუპირდაპირებს. ჩვენში თუ რასმე აკეთებს ეკონომიურ ნიადაგზე, რუსეთის კერძო თაოსნობა კი არა, არამედ თვითონ მთავრობა. ის სტრატეგიული მიზნით რკინის გზებს ხსნის, რის მეოხებით ვითარდება ხალხის მეურნეობა. ირღვევა ძველი ურთიერთობა და იქმნება ახალი ქართველობა, ახალი მოთხოვნილებით, ახალი მოქმედებით და იდეებით.

რუსები ეტანებიან უფრო მიწა-ადგილის შეძენას. ამის მიზეზი ორია, ერთი ის, რომ სურთ თავიანთი ელემენტი მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ, ხოლო მეორე წმინდა ეკონომიური ხასიათისაა. ეკონომიურათ უკან-ჩამორჩენა სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ კერძო თაოსნობა, გამბედაობა, „რისკი“ მ-მ-ქრალი, მილეულია. ფულის პატრონს შიშით ხელი უძაგძაგებს, დღე და ღამე არ ძინავს, ფული არ დამეკარგოსო. ის უფრთხის წარმოებაში, აღებ-მიცემობაში მონაწილეობის მიღებას, ეს საქმე მას საეჭვოთ მიაჩნია. თუნდ დარწმუნებულიც იყოს მოვიგებო, მაინც შორს გაურბის, ბევრი ფიქრი და დავიდარაბა დამჭირდებაო. ევროპიელი ასში მხოლოთ ათს ანგარიშობს მოსაგებათ, ოთხმოცდა ათს „რისკზე“ გადადის, ან მოვიგებ, ან წავაგებო. ის ამაშია აღზრდილი, ასეთი ენერგიით სულდგმულობს. რუსი (აგრეთვე ქართველი) ყოველ ფეხის გადადგმაზე კანკალობს, ვაი თუ ვერ ჩავდივარ კარგათო. ამიტომ ის ეძებს თავის ფულისათვის სანდო, მაგარ ბინას. რა წარმოადგენს ასეთ ბინას, თუ არა მიწა-ადგილი. მიწის გაქრობა, ან დაფუშვა ხომ არ შეიძლება და მაშასადამე იქ შეტანილი ფული იქნება და იქნება უკუნისამდე. ევროპიელი ფულის პატრონი მიწის შეძენას არ ეტანება, ეს მას ხელსაყრელათ არ მიაჩნია, რაიცა აშკარაა იქიდან, რომ ყველა მემამულე ყელამდე ვალშია. ჩვენებური კი პირიქით მრეწველობას არ ეტანება, სასარგებლოთ არ მიაჩნია, თუმცა ვალის გემო მიწის პატრონსაც კაი ხანია გაღებული აქვს. უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში შრომა, ენერგია განუვითარებელია და მაშასადამე კაპიტალი, გამბედაობა, საწარმოო მიდრეკილება სუსტია. ასეთ პირობებშია რუსეთიც. აქედან ჩვენ საწარმოო თანხა ვერ მოგვეცა, ხოლო ის რუსები, რომელნიც ჩვენში ჯამაგირით თუ „მოსე მწერლობით“ ფულს შოულობენ, წარმოების ეშინიათ და ისევ უძრავ ქონებას ეტანებიან... ამ კითხვის შესახებ მეტს ვეღარას ვიტყვით...

ამ ნაირათ ჩვენ გავარჩიეთ სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობა და აღმოჩნდა შემდეგი: სომხები წარმოადგენენ მოვაჭრეს, სარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა წარმოებით, საქმეში დაბანდებით, არამედ ვექსილის ქაღალდით, „ნეუსტოიკით“, მოტყუებით, კანონიერი უკანონობით; ამისათვის მათი მოქმედება კონსერვატიულია. ევროპიელნი მრეწველობას მიდევენ, ეაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ, ქვეყანა ევროპიულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესიულ როლს თამაშობენ. რუსები კი ორივეს შუაშია. ის არც ჩარჩია, არც მრეწველი, არც მდიდარია, არც ღარიბი. მიილტვის უფრო უძრავ ქონების შეძენისაკენ, საზოგადოთ მოხელე, ჩინოვნიკია.

ნ. ყორდანია.

(შემდეგი იქნება)

მეცნიერება გაკოტრდა, თუ მეტაფიზიკა?

(ბრიუნეტიერის დაცვის გამო ჩვენში)

II *)

კითხველი დაინახავდა ზემონათქვამიდან, თუ რა ნაირია ბრიუნეტიერის შეხედულება ბუნებაზე და ბუნების მეცნიერებაზე. მოკლეთ ეს შეხედულება გამოიხატება ამნაირათ: ბუნებაში განგების ძალით არსებობს „მოძრავი და გონიერი წესი“ (l'ordre mobile et intelligent), და ყოველივე მასში მიისწრაფეა ერთხელ და წინდაწინვე განზრახული მიზნისაკენ. ამ დასკვნამდის მიეყვანართ (რასაკვირველია ბრიუნეტიერის აზრით) თანამედროვე ევოლიუციონურ მოძღვრებას.—ამნაირი შეხედულების წარმოთქმით ბრიუნეტიერმა დაამტკიცა მხოლოთ ის, რომ მას ყოველად შემცდარი წარმოდგენა აქვს ბუ-

*) იხ. „კვალი“, № 13.

ნებაზე—ერთი მხრით და მეორე მხრით—ის, რომ მას სრულებით ვერ შეუთვისებია აწინდელი მეცნიერების დედა აზრი და ისევ ძველ დაძონძებულ მეტაფიზიკაზე არის ჭიპით მიკრული. რასაკვირველია, როცა ამნაირი აზრის პატრონი ნამდვილ მეცნიერებაზე დაიწყებს ლაპარაკს, რათა ამ უკანასკნელის ნამაგვეი დააფასოს, იმას ვერ დაკმაყოფილებს ეს ნამაგვეი, რადგანაც იგი სულ სხვას ეძებს; მოკლეთ რომ ვთქვათ, მას ვერ დაკმაყოფილებს მეცნიერება მიტომ, რომ იგი მეტაფიზიკა. ამის დასამტკიცებელ საბუთს ჩვენ ახლავე დავინახავთ.

ბრიუნეტიერმა მიმართა მეცნიერებას იმიტომ კი არა, რომ მისი ჯეროვანი ღირსება ეცნა, არამედ იმიტომ, რომ მისი ყოველგვარი შენაძენი აეთვალისწუნებია და ჩირათაც არ ჩაეგდო. მართლათაც, მეტაფიზიკი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არა რწამს რა და სულ რაღაც იდეალური არსებებით და იდეებით იკვებება (თუმცაღა პურის და სხვა ამ გვარ რეალური საგნების მაგიერობას კი ვერ გაუწევენ ეს იდეები, ეს უნდა იცოდეთ კარგად), ის მეტაფიზიკი, ვიმეორებთ, ვერაფერ სასიამოვნოს ნახავს ნამდვილ მეცნიერებაში. ეს უკანასკნელი სწორ მათემატიკურ ანგარიშზეა დამყარებული, აქ სასწორს და საზომავს პირველი ალაგი უჭირავთ, ერთი სიტყვით აქ პირდაპირ მატერიასთან გაქვთ საქმე; და ეს მატერია ხომ საზიზღარი და ერთი რამ მდაბალი ქმნილებაა მეტაფიზიკის თვალში. ბრიუნეტიერმაც გადააგლო თვალი მეცნიერებას და მასში ვერ პოვა იმისთანა რამ, რაც მატერიაზე არ იყოს დაფუძნებული, და თუმცაღა ზოგიერთი რამ, მაგალ., თუნდ ის, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში თითონ მან პარიჟიდან რომში ამოყო თავი პაპის სანახავათ, ე. ი. რკინის გზა და სხვა ამისთანაები, არ შეეძლო, არ მოეწონებია, მაგრამ ღირს-კი ამისთანა უღირს რამეებზე ლაპარაკი, როცა იდეების ქვეყნიდან მეცნიერებაში არავითარი ცნობა არ არის? მაშ, გაკოტრებულ მეცნიერებაო! – დაასკვნა ბრიუნეტიერმა.

მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა, ამას ჩვენ ცოტა ქვემოთ დავინახავთ. აქ შევნიშნოთ მხოლოთ, რომ მეცნიერების გაკოტრების ხადილი ახალი ხილი არ არის მეტაფიზიკების მხრივ. მაგრამ ბრიუნეტიერმა ამას თავისებური მიმართულება მისცა და ამიტომ შეუძლებელი იყო, რომ მისი აზრი უყურადღებოთ დატოვებულიყო და მისი უსაფუძლობა არ გამოეაშკარებინათ, ვისგანაც რიგი იყო; თუმცაღა იგიც კი უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში და საზოგადოთ ევროპაში და ამერიკაში, სადაც მეცნიერება მკვიდრ საფუძველზეა დამყარებული, ბრიუნეტიერისებრივი ხეპრული შეხედულება მეცნიერებას თავის დღეში ვერაფერს ვერ დააკლებს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბრიუნეტიერის ხეპრულ აზრს, ვითომც მეცნიერება გაკოტრდაო, ჩვენშიაც აღმოუჩნდა მოსარჩლე. დიახ, ჩვენში! ეს გახლავთ ბ. კიტა, გაზ. „ივერიის“ პუბლიცისტი, რომელიც ბრუნეტიერის ნათქვამს ბანს აძლევს [1]) იმ გაზეთში, რომელიც ერთათ ერთ ყოველ დღიურ გამოცემათ ითვლება ჩვენში. ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენში მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ფესვების გადგმა იწყო და, ვინ იცის, როდის გაიკეთებს ძირს, როდის დამყარდება ისე, როგორც ევროპაში და ამერიკაში. მაგრამ ახლავე თუ გამოედექით და ვიძახეთ გაზეთის საშუალებით, რომ მეცნიერება გაკოტრდაო, ამით სწორეთ ვერაფერ ხეირს დავაყრით ჩვენ ქვეყანას. ჩვენ როცა ამ წერილის დაწერა განვიზრახეთ, სრულებით სახეში არ გვქონებია, რომ მეცნიერება დაგვეცვა იმ გვარ ახირებულ შეხედულებათა წინაშე, როგორიც არის ბრუნეტიერის შეხედულება. და მართლა რომ მეცნიერება საჭიროებდეს ამ გვარ დაცვას, იმ შემთხვევაში ჩვენ პირდაპირ აღვიარებდით მეცნიერების გაკოტრებას. ჩვენ მხოლოთ გვსურს ის საბუთები, რომლების მეოხებით ბრიუნეტიერი და ჩვენში ბ. კიტა ცდილობენ მეცნიერების გაკოტრების დამტკიცებას, მოკლეთ გავარჩიოთ და დავაფასოთ. ბრიუნეტიერი, და მასთან ბ. კიტაც, ჯერ მთელ მეცნიერებას ეხება და შემდეგ თითოეულ მის დარგს; ჩვენც ამ რიგს მივყვეთ.

მეცნიერება გაკოტრდაო—ამბობს ბრუნეტიერი—იმიტომ, რომ მან ვერ შეგვისრულა—ის, რაც დაგვპირდაო, ვერ გაგვიმართლა იმედები, რომლებიც დაგვიბადა მისმა შარავანდეთით მოსილმა, ბრწყინვალე დასაწყისმა (იხ. „ივერია“ № 42. აქ კურსივი ყველგან ჩვენია). მეხანიკური აღმოჩენებით კი შეუძლიათ მხოლოთ რომ დაიკვეხონ ახლანდელმა მეცნიერებმა, მაგრამ რა გამოვა აქედან: კაცის ცხოვრების გაუმჯო-

---

[1]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. კიტა ეროობ ბეკრნაირი ეკვოკების ბურჭლთ გასდა ბრიუნეტიერის გამო. მს, მაგალითებრ, სურს კიდევაც გაამტყუნოს ბრიუნეტიერი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა კათოლიციზმის უპირატესობა აღიარა ყველა სარწმუნოებათა წინაშე. მეორე მხრით, ვინც კი ხმა გასცა ბრიუნეტიერს მისი შემდარი აზრის შესახებ, ბ. კიტა უსაყვედურებს: თქვენ ამისთვის არ უნდა მიგეცემინათ ყურადღებაო. მაგრამ, აკი, თითონ ბ. კიტამ მიაქცია ყურადღება ჯერ ჩვენი საქართველოდანაც. შეიძლება ჩვენც გვისაყვედურაოს ბ. კიტამ, ჩემს წერილს რათ მიაქციეთ ყურადღებაო? ამ საყვედურზე ჩვენ გვუპასუხებთ ბ. კიტას მხოლოთ მსრების აწევით.

ბესობას ხომ ვერ დაიჩემებენო. მეცნიერება დაგვპირდა — განაგრძობს ბრიუნეტიერი—საიდუმლოებას ფარდას აეხდით, ყველაფერს აგიხსნით, თქვენთვის მიუწდომელი არა დარჩებარო. მაგრამ ეს იმედიც გაგვიცრუა: მეცნიერებამ ვერ დაგვანახვა ნათლათ, როგორი იყო დასაბამი ქვეყნისა, ვერ აგვიხსნა, რა არის თავიდ-თავი მიზეზი ყოველივეერისა, ვერ დაგვანახვა ის გზა, რომლითაც მიმდინარეობს კატაბრიობა, ვერ განგვიმარტა, როგორი იქნება მომავალი ბედ-იღბალი კაცობრიობისა. — რა ვიუკვით და რა ვიქნებით, აი, ორი დაწყველილი საკითხვაი, რომელზედაც მეცნიერებამ პასუხი ვერ გვიგო და ვერც გვიგებს მომავალშიო. თუმცა დარვინის შრომამ დაგვიმტკიცა, რომ მაიმუნებიდან მოვმდინარეობთ, მაგრამ განა ვიცით მაინც რამ შექმნა ეს წინაპარი, როგორი იყო იგი?—მეცნიერებას შეუძლია აგვიხსნას მარტო პირუტყული მხარე ჩვენი ბუნებისა, ადამიანური მხარე კი მისთვის მიუწდომელია. რა ვართ ჩვენ როგორც ადამიანი? საიდან და როგორ გაჩნდა ენა, საზოგადოება, ზნეობა? ვინც კი სცადა ამ საუკუნეში ამ კითხვების გადაწყვეტა, ყველა დამარცხდა, გამარჯვებული არავინ გვინახავს, ასეც უნდა იქმნეს მომავალშიო [2])—დასძენს ბრიუნეტიერი და კვერს ურტყამს ამაზე ბ. კიტაც.

აი, ამნაირი საბრალდებულო ოქმი შეუდგინა ბრიუნეტიერმა თანამედროვე მეცნიერებას. მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ ბრალდებული დაუმორჩილოთ იმ ათასგვარ ბრალს, რომელსაც მას ადებს ბრიუნეტიერი? გავშინჯოთ ეს საბრალდებულო ოქმი ცოტა უფრო დაწვრილებით. პირველათ მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რას უნდა ნიშნავდენ შემდეგი სიტყვები: მეცნიერებამ ვერ გაგვიმართლა ის იმედები, რომელიც დაგვიბადა მისმა შარავანდეთით მოსილმა, ბრწყინვალე დასაწყისმა?" ჩვენ ვერ გაგვიგია სწორეთ ეს „შარავანდეთით მოსილი და ბრწყინვალე დასაწყისი" მეცნიერებისა! სხვას რას არგუნა ბედმა ამნაირი დასაწყისი, რომ მას მარტო მეცნიერებას არგუნებდა? თუ კი რამეს კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრებაში გამოუელია შავი და მწარე დღენი, ეს ყველაზე უფრო მეცნიერებამ გამოიარა, ძველს დროში, საშუალო საუკუნოებში და თითქმის ჩვენ დროშიაც, ყოველსაე იმას, რასაც ცოტათ, თუ ბევრათ ნამდვილი მეცნიერების ელფერი დაატყდებოდა, სასტიკი განსაცდელი დაადგებოდა; ამას ამტკიცებს არა ერთი და ორი მაგალითი, არამედ მთელი ისტორია. ამის და მიუხედავათ მეცნიერებამ გაიმარჯვა ერთ ყველაზე უსასტიკეს ბრძოლაში, რომელიც გძელდება თითქმის მთელი ისტორიული ცხოვრების სიერცეზე და გაიმარჯვა რით? ხმლით, თუ თოფით და წამლით, თუმცა-ღა მის დასამარცხებლათ არაფერს არ ზოგავდენ? არა, მას ეს არც ერთი არ უხმარია, მან გაიმარჯვა მხოლოთ იმით, რომ ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფებოდა. აი, ეს გამარჯვება ცხადათ ღაღადებს არა იმაზე, რომ მეცნიერებას ჰქონდა შარავანდეთით მოსილი და ბრწყინვალე დასაწყისი, არამედ იმაზე, რომ მისი მომავალი უნდა იქნეს ამნაირი. სულ სხვანაირია მეტაფიზიკის ბედი. თუმცა-ღა ბრწყინვალეთ ვერ მივიღებთ მის დასაწყისს, რადგანაც ეს უკანასკნელი ბნელით და ბურუსით არის მოცული, მაგრამ ძლევა-მოსილი კი დაერქმევა მას. მეტაფიზიკურ აზროვნებას ყოველთვის დიდი პატივი ჰქონდა იმისგან, ვის ხელშიაც ხალხის ბედ-იღბალი იყო, თუ უმეტეს ნაწილათ თვით მეტაფიზიკებისაგან არ შედგებოდა ამნაირი წოდება. მოკლეთ რომ ვთქვათ, მეტაფიზიკა ყოველთვის ამხედრებული და შეიარაღებული იყო მეცნიერების წინააღმდეგ. მაგრამ რას ეხედავთ? მეტაფიზიკა სასტიკათ დამარცხდა, მიუხედავათ ამისა, რომ აუარებელი საბრძოლველი ძალა და გავლენა მის მხარეზე იყო. ახლა გადავიდეთ იმაზე, თუ რა დაგვიჯდა ჩვენ მეცნიერება და რაში გაგვიცრუა იმედები.

მეცნიერება დაგვპირდაო — გაიძახის ბრიუნეტიერი, და მასთან ერთათ ბ. კიტაც—რომ საიდუმლოების ფარდას აეხდით, ყოველფერს აგიხსნით და თქვენთვის მიუწდომელი, გამოუცნობელი (l'inconnaissable) აღარა იქნება რაო. აი, ნამდვილი ცილის-წამება თუ გინდათ, სწორეთ ეს არის! როდის, ან სად დაგვპირდა ჩვენ მეცნიერებამ, რომ გამოუცნობელს გამოვიცნობო, ყოველსაე საიდუმლოებას ფარდას აეხდიო და სხვ.? პირიქით, მთელი თანამედროვე მეცნიერება იმის დასამტკიცებელი საბუთია, რომ ყოველგვარი მიდრეკილება, რათა გამოუცნობელი გამოვიცნოთ და საიდუმლოებას ფარდა აეხადოთ, მარტო ჩხირკედელობას წარმოადგენს, უბრალოთ დროის დაკარგვას და ბოლოს მხოლოთ მეტაფიზიკურ გალიმატიას, სისულელეს ნიშნავს. მეცნიერება ჩვენ გვეუბნება, რომ „გამოუცნობელის გამოცნობა", საიდუმლოების ფარდის ახდა და სხვა ამგვარი ფანტაზიური საქმელები მხოლოთ მეტაფიზიკის საკუთარ კუთვნილებას შეადგენენ. მრავალ საუკუნეთა განმავალობაში მეტაფიზიკა იმის ცდაში იყო, რომ „საიდუმლოებისათვის ფარდა აეხადა, მიუწდომელი აეხსნა, ამისათვის ის ფეხების მაგიერათ თავზე დგებოდა, მაგრამ არ იქნა და არა, მიუწდომელი ისევ მიუწდომელათ დარჩა, „საიდუმლოება" ისევ ფარდა აუხდელათ. ყველა მეტაფიზიკი, იგემებ-

[2]) იხ. „ივერია" № 42.

და თუ არა ამგვარ საჭიროების გემოს, მაშინვე გეპირდებოდა, რომ, აი, სწორეთ მე აგიხსნით ყოველსავე „საიდუმლოებას“, მე გეტყვით, თუ რა არის „თავი და თავი მიზეზი ყოველიფერისა“. და განა რომელიმე იმათაგანმა რამდენიმეთ მაინც შეგვისრულა ეს დაპირება? პირიქით, რაც დრო და ხანი მიდიოდა, მეტაფიზიკა სულ უფრო და უფრო ამტკიცებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მისი ლტოლვილების საგანი მიუწდომელია, რითაც უნდა შეწყვეტილიყო თვით მეტაფიზიკის არსებობა, როგორც განსხვავებული მეთოდისა და აზროვნებისა. მეტაფიზიკა რომ აღარ არსებობს, იგი რომ გაკოტრდა, ამას სხვათა შორის ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მეტაფიზიკებმა მეტაფიზიკის ლიკვიდაციას შემდეგ იწყეს მეცნიერების კალთას ქვეშ შემოფარება, მოიწადინეს გარეგნობით მეცნიერების კანში გახვევა, მაგრამ სულ კი ძველი, დახავსებული, მეტაფიზიკური შეინახეს. ამნაირი გარდაქმნის სიძნელე, სხვათა შორის თვით ბრიუნეტიერმაც სცადა თავის თავზე. მაგრამ მეცნიერების მარტო კანი მას ხომ ვერაფერს უშველიდა. მეტაფიზიკური სული მეცნიერების კანში ვერ ღარ დაეტია, და დაუწყო ამ უკანასკნელს კიჟინი: „შენ გაკოტრებული ხარო, რადგანაც არც „საიდუმლოებისათვის“ აგიხდია ფარდა და არც გამოუცნობელი გამოგიცვენიაო. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი, სწორეთ ეს არის.

ფ. მასარაძე.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

წერილი 2.

1) „მოდით ვნახოთ ვენახი“, ცხრა სუფთითა ეფმათოთვის პირველი საკითხავი წიგნი ანბანის შესწავლას შემდეგ.
2) რწყილი და ჭიანჭველა. მეორე საკითხავი წიგნი.
3) მეთევზის შვილი ეფმათოთვის.

წინა წერილში ბ. როსტომაშვილის ანბანის შესახებ ის აზრი გამოვთქვით სხვათა შორის, რომ იგი მისწრაფა ჩვენი ოჯახებისათვის—მეთქი, სადაც შრომით დაქანცულნი პოულობენ ცოტაოდენს დროს და ხალისიანათ და ადვილათ შეისწავლიან—მეთქი ანბანსა. ჩემი აზრი მართალი გამოდგა. აუარებელი თანაგრძნობითი წერილები ავტორისადმი და ასე სწრაფათ გასაღება ამ წიგნაკისა უტყუარი საბუთია ჩემგან წარმოთქმული აზრის ჭეშმარიტებისა. მაგრამ ანბანის შესწავლით არ უნდა თავდებოდეს საქმე. მოსწავლემ უნდა ისწავლოს კითხვა და დალაგებით მოსმენა და გამოთქმა წაკითხულისა. ბ. როსტომაშვილი ამის მიხედვით იძლევა ამ წერილის სათაურში მოყვანილ წიგნაკებსა. პირველი წიგნაკის „მოდი ენახოთ ვენახის“ შესახებ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საყმაწვილო წიგნაკია და ვერც განასპეტაკებს ყმაწვილის გრძნობა-გონებას. შინაარსი ორიგინალისა (იხ. „დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა) ეს გახლავს: კატამ თაგვი შეჭამა, თაგვმა მიწა, მიწამ ქანგი, ქანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ კი ვენახი შეჭამა. ერთი სიტყვით ამ ლექსიდან ის გამოდის, რომ ყველაფერი ერთმანეთსა ჭამს, ერთმანეთს მტრობს, ერთმანეთს ღალატობს საბრძოლველათ არსებობისთვის და ეს „დიდებისათვისაც“ კი საშინელი თეორია, უნდა შევავთვისოთ 7—8 წლის ბავშს, რომლის ჭკუა-გონება ჯერეთ დაუმყარებელია და გრძნობა ნორჩი და გაუღვიძებელი. თუმცა ბ. როსტომაშვილს გადაუსხვაფერებია ეს ლექსი; მის წიგნაკში „ქანგსა ჭამს ცეცხლი, ცეცხლს წყალი, წყალს მზე, მზეს ღამე, ღამეს კიდევ მზე და სხ., მაგრამ ამ გადასხვაფერებით ბევრი ვერაფერი მოუმატა ამ ლექს, თუმცა კი შინაარსით ისევ ეს გადასხვაფერებული სჯობია იაკ. გოგებაშვილის ლექსსა. აქ, თუმცა კი უდროოთ, მაგრამ მაინც ბავშს შეუძლია ადვილათ გაიკოს ქანგს როგორ აქრობს ცეცხლი, ცეცხლს წყალი, წყალს მზე და სხ. სამწუხაროა, რომ ამისთანა ნიჭიერმა პედაგოგმა, როგორიც როსტომაშვილია, ასეთი წლოვანების შეუფერებელი ლექსი მისცა ბავშებს წასაკითხავათ და ამასთანავე ეს უშვერობა შეამკო შვენიერი ნახატებით.

წერილი 3.

2) რწყილი და ჭიანჭველა „და“ მეთევზის შვილი.

„გვნგებ შედგენილ მოთხრობებში განთლებული მწერალი ცდილობს დაუსდოგდეს ბავშის ფიქრს: ოცნებობს ბავშურათ და არც ერთი სიტყვა დაწერილისა ამას არა რწამს. სასალსო ზღაპრებში კი დიდებული და პოეზიით სავსე ბავში—სალსია, რომელიც უამბობს ბავშებს ბავშურს ფიქრებს და ნახევრობით რწამს კიდეც ეს ფიქრები.

კ. უშინსკი.

პედაგოგთა შორის აქამდის არსებობს სხვა-დასხვაობა აზრისა ზღაპრების მნიშვნელობის შესახებ.

ძალიან ბევრი პედაგოგები მოიპოვებიან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ზღაპრების შეტანას პირველ დაწყებით სახელმძღვანელოებში. საფუძვლები, რაზედაც ამყარებენ ესენი თავიანთ შეხედულობას ზღაპრების წინააღმდეგ, მდგომარეობენ იმაში, რომ ბავშს ვითომ ზღაპრებით უსნეულდება წარმოდგენილობითი ძალა-ეჩვევა იგი ზესთაბუნებითი (сверхъ-естественное) მოვლინებებისადმი მისწრაფებას და შორდება მისი თვალი ქვეყნიურ მოვლენათა. ასეთი შეხედულობა, რასაკვირველია, საფუძვლიანი არ უნდა იყვეს, მით უფრო, რომ რიგიანათ შედგენილ სახელმძღვანელო წიგნში ვერ პოვებთ იმ გვარ ზღაპრებს, რომლებიც შეაშინებენ ბავშს და შეუფერხებენ წარმოდგენილობას (воображеніе). და რაც შეეხება იმ აზრს, რომ ვითომ ბავშებს ზღაპრებით ეუხშობდეთ სიმპატიას ქვეყნიურ მოვლინებათადმი და ეუძლიერებდეთ სიყვარულს ზესთა-ბუნებისადმი, ესეც ხომ აშკარა ტყუილია; და ამ სიცრუეს ბავშებიც მალე ტყობილობენ, როდესაც ასაკში მოდიან და ცდილობენ გული და გონება დაამყარონ სინამდვილეზე. რაც შეეხება „რწყილსა და ჭიანჭველას" და მეთევზის შვილს ეს ზღაპრები არამც თუ მარტო იმითი არიან შესანიშნავნი, რომ ბავშს გაახალისებენ და გაუადვილებენ კითხვითი პროცესს (რადგანაც ამ ზღაპრებში ხშირია განმეორება ერთი და იგივე სიტყვებისა და წინადადებათა), არამედ ადვილათვე ინერგებიან ბავშის მეხსიერებაში ის შვენიერი ხელოვნებითი სიტყვები და წინადადებანი, რომლითაც სავსეა ეს ზღაპრები და საზოგადოთ სახალხო ენა. უმართავენ ხელს მისწრაფებას იდეალისკენ და უამისოთ ხომ ფუჭია ცხოვრება! ეჩვევა ბავში გამოხატოს თავისი აზრი ადვილათ და ხელოვნურათ; უფართოებენ წარმოდგენილობას და, რაც უფრო საჭიროა ამ ჩვენი უფერული ცხოვრებისათვის, ასწავლიან თუ რა საჭიროა კაცისათვის ერთი ერთმანეთის გაჭირვებაში დახმარება, ძმობა, ერთობა, რომ ყველანი, ხალხის ფილოსოფიისა არ იყვეს, ძმა ძმისთვისა-შავი დღისთვისას—გაეძახოდეთ და ამითი ესულდგმულებდეთ (წაიკითხეთ უთუოთ „რწყილი და ჭიანჭველა და ყველა ამას ეს მიგახვედრებთ). მეორე ზღაპარიც გვასწავლის, ხალხისა არ იყვეს, „პურ-მარილი არ დაიკარგებაო", თუ რა საჭიროა კაცმა კეთილი ჰთესოს, რადგანაც რასაც დათეს, იმას მომკი. მართლაცა და მეთევზის შვილმა დათესა კეთილი და საქმე კეთილათ წარემართა; ერთი სიტყვით ეს ზღაპრები ისეთი ზღაპრებია, რომლებსაც არა შეედრებარა ჩვენს ღარიბს საყმაწვილო ლიტერატურაში და არ შეიძლება მადლობა არ ეუძღვნათ ბ. როსტომაშვილს ამ იაფ ფასიანი ნახატებიანი (თითო წიგნი 15 კ.) წიგნაკების გამოცემისათვის.

№ №

რ ე ც ე ნ ზ ი ა:

„ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ" ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲘᲐᲡ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, „ᲛᲝᲜᲐᲛᲔ" № V. 1895 Წ.

ამაზის ენით და შვენიერი მჭევრმეტყველებით დაწერილი მოთხრობაც კი თურმე არ მოეწონება კაცს, თუ სიმართლესა და ბუნების ძალას მოკლებულია. ბ. იას. ნიკოლაიშვილს ეტყობა, რომ მართლის წერა და შვენიერი მისახდომი ენით მჭერმეტყველება ძვიელ ეადვილება; ჩვენი აზრით მისი მოთხრობა „ცოლ-ქმარი" ძალიან ხელოვნურათ მოუკაზმავს, მხოლოთ ჩვენდა სამწუხაროთ მისი „ანტიპატია" თავად-აზნაურობის შესახებ საზღვარს გადაცდენია, სრულებით, ბუნების (მეტადრე ქალის) წინააღმდეგი—საკვირველი ამბავი მოუთავსებია თავის მოთხრობაში, მიკვირს „მოამბის" დარბაისელმა „სამსაჯულომ" როგორ დაბეჭდა ესე ვითარი ბუნების წინააღმდეგი მოვლენა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობაში ზნით დაცემული ეაჟბატონები არ ერიონ („თითო კოეზი უპატიური ყოველ სახლშიაო"—ნათქვამია), არც თავადი შამილის (მოთხრობა „ცოლ-ქმარის" გმირის) საქციელია „ამერიკის აღმოჩენა", მხოლოთ ერთი რამ მიგვაჩნია შეუძლებლათ: ის რომ, ვითომ: შამილი და კატო შეთანხმებულიყვენ თავ-თავიანთ გულში, რათა ერთმანეთისთვის სიყვარულის საქმეში ხელი მოეწყოთ. როგორც გვარწმუნებს ავტორი, შამილი და კატო მუდამ ხელს უწყობდენ ერთმანეთს. თუ შამილს მოეწონებოდა რომელიმე ქალი—იტყოდა კატოსთან და კატოც მაშინვე შეუდგებოდა თადარიგს დ ეგრე იქცეოდა თ. შამილიც. საკვირველია, რომ სულ ნახევარი საუკუნის დამოკიდებულს

ცხოვრებას ასე შეეცვალოს ჩვენი თავად-აზნაურობის ჩვეულება, რომ ამ წერტილზე მიეღწიოს მათს სვინიდისს. (არ დაიეწყოთ, რომ თ. შამილი ძალიან მდიდარია და სრულებით საჭიროება არაფერში აქვს). რომ თავის ცოლს (როგორიც უნდა იყოს) თავის ხელით ურიგებდეს სხვას, მაგრამ ქალი კი თავის ქმარს ამას არასოდეს არ უზამს, რადგან ეს ქალის ბუნების წინააღმდეგია. ნეტავ გავიგებდეთ, რომელ ბუნების მორეეში ამ.ოუკრებია ბ. იას. ნიკოლაიშვილს ეს საკვირველი მოვლენა. განა ქართველ თავადიშვილს მდიდარს, თავმოყვარეს და უანგაროს შეუძლია შეითვისოს ამ რიგი პიროვნების დამამცირებელი საქმის ჩადენა? არასოდეს, არა! ამ რიგი საქმე შეუძლია ჩაიდინოს ანგარმა და მრავლის საუკუნოებით დამონავებულ-დაჩაგრულმა ერმა, ვისიც „ღმერთა“მარტო ფულია. შეიძლება ეს მოხდეს საქართველოშიაც, მხოლოთ მარტო უუკიდურეს მდგომარეობაში და ისიც შემდეგ ნაირათ: ყოველთა გაღატაკებული და ზნეობით დაცემული კაცი თავადი იყოს, აზნაური, გინდა გლეხი, სულ ერთია, შეიყვარებს რომელსამე ზნე-გაფუჭებულს დედაკაცს და ცხოვრებს მასთან, დედაკაცი მას არაფერში ერიდება, მაგრამ დედა მისის შვილია და იმ ეაჭბატონმა, სანამ მასთან არის, სხვას არ შეუკავშირდება! თუ გაუგო, მაშინვე გააგდებს და სხვა. ამის მაგალითები ძალიან ბევრია და ეს კანონი, როგორც წესს გადასული თავმოყვარეობა დედაკაცში მტკიცეთ დაცულია, თვით საზოგადო სახლებშიაც კი, ვერასოდეს ქალი ამ ბუნების ძალას ვერ აცდება. ქალს, შეიძლება, ორი-სამი საყვარელი ჰყავდეს, მხოლოთ ქმარზე მაინც შურიანი არის, მას გინდ ძულდეს კიდეც თავისი ქმარი, მაინც თავმოყვარეობისათვის ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ მისი ქმარი სხვას არ შეუკავშირდეს, ეს ცხადზე ცხადია. ყოველ შემთხვევაში მე კაცობრიობის ფსიხოლოგიურ გაჩჩევას თავს ვანებებ. რადგან არც შემიძლია, მხოლოთ ქართველ ქალსა და კაცს მე მეტადრე მათს ცოლ-ქრმობის შესახებ ნამუსიანობისთვის დაბეჯითებით შემიძლია ეთქვა, რომ ამ რიგი მახინჯი—ქართველი—მდიდარი თავადიშვილი ჩვენს ქვეყანაში იშვიათია და ღმერთმაც გვაშოროს. ვერ წარმომიდგენია (ვიმეორებ) ისეთი მდიდარი თავადიშვილის ცოლი, გინა ქმარი, რომ ერთმანეთს საყვარლებს ურიგებდენ. ეს ჩემი აზრით მხოლოთ „ლიტონი სიტყვებია“. ან რომ კიდეც მოიპოებოდეს, ტიპათ მაინც არ გამოიყვანება.

მოთხრობის წერა და რომანულათ სცენების გამოქვეყნება ძრიელ სასურველია ჩვენთვის, როგორც ღარიბი ხალხისთვის, მხოლოთ ყველა ამას უნდა უძღოდეს წინ ნამდვილი მოვლენანი და ბუნებასაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მარტო ამ შემთხვევაში შეიძლება მოთხრობებმა და რომანებმა სარგებლობა მოგვიტანოს. ამ რიგი ტიპების დახატვა კი, როგორც არის „ცოლ-ქმარი“-ს გმირი თ. შამილი, როგორც ბუნებისა და მეტადრე ქართველის კაცის ბუნების წინააღმდეგი, მარტო ჩვენი საპატიო ზნე-ჩვეულებისა და პატიოსნების შელახვა იქნება და ცილისწამება. ეს ვერაფერი ზნის სალარია, ბ. იასონ. ნურას უკაცრავათ – ეს მარტო „ანტიპატია“ უნდა იყოს. გვწამს ნამდვილი ტიპი ტარიელ მკლავაძისა, მხოლოთ თ. შამილის კი არასოდეს.

იასე რაჭველი.

სტამბოლი.

ნ უ შ ო.

(მოთხრობა) *)

მორეეი მძიმეთ ატრიალებდა ხეს, შუაგულიდან არ უშვებდა, არ უთმობდა.

ზემოდან გამოჩნდენ ორბელიშვილის ქალები და იმათთან ნუშო. ქალებს უკან მოდევდათ სუფთათ გამოწყობილი ეაჭკაცი—ორბელიშვილის მსახური ჯაგუ კორსაია. სოსანას ისინი არ შეუმჩნევია, იმან იდროვა, ესროლა კვი და მარჯვეთ მოდვა ხეს.

— ყოჩაღ, ბიჭო! წამოიძახა ყველამ.

თოკი დაიჭიმა, ყმაწვილი წაბორძიკდა. ჯაგუ მარდათ გადახტა და მიეშველა. სოსანა მიტრიალდა; მაშინ-ღა დაინახა ნუშო. კაბის განიერი სახელოებიდან თეთრი მკლავები იდაყვამდის უჩანდა ქალს. ქალმა თვალების ღიმილით გაუწოდა სოსანას პაწაწინა მოელილი ხელი. ბუცუცა ხელის გაწვდის დროს

*) იხ. „ᲙᲘᲜᲝ“ № 13.

თითების სახსრებში ნაჩვრეტნები დააჩნდა. ვაჟმა შენიშნა ეს და თვალი ველარ მოაშორა. იმ წუთში მთლათ ქალი ამ ხელის ნაჩვრეტნებში ეახორციელებცლიყო იმისთვის.

ჩასულ ქალებს მიესალმენ, საპატიო ადგილი დაუთმეს, სიდანაც უფრო კარგათ ჩანდა ყველაფერი. ეს პატივი ნუშოსაც შეხვდა უნებლიეთ და დააქაველა იმისი პატივმოყვარება, მაგრამ თანაც უხერხულობა აგრძნობინა, რადგან ხედავდა, რომ თავაზა იმას არ ეკუთნოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ქალი ველარც იქით იყო, ველარც აქეთ, ვერც ორბელიშვილის ქალებისათვის დაენებებია თავი, ვერც თავის ტოლ-სწორებისათვის. მაგდა კი სიყვარულით შეჰყურებდა თავის ქალს, თავი მოსწონდა.

— არა, რითი ჩამოუვარდება ჩვენი ნუშო თავადიშვილის ქალებს? მე ვიცი, სიშვენიერით აჯობებენ! მიუბრუნდა ეკა მართას.

— ეჰ, ჩემო კარგო, შეძლება უნდა მქონოდა, რომ ბოლო მიმედევნებინა და სწავლა დავთავებინა, მადლი ის იქნებოდა. ხელი რომ მოემართათ და ი სკოლიდან არ გამომეყვანა უფულობით, მაშინ იქნებოდა კარგი, თორემ რათ მინდა, რომ ახლა მალმალ ეპატიჟებიან.

— არა, ნუშოს არ კი არგებს, ჩემო მავდა, მაგათი აყოლა: მაგათ მამულები აქვთ, ყველაფერი მზამზარეულათ მიუდისთ, ჩვენ კი ჩვენი ხელით უნდა ვიცხოვროთ; ვაი, თუ უსაქმობას და მეტ ცხოვრებას შეეჩვიოს.

— ი, შენ კი გაიხარე! ვამბობ, ყმაწვილია, გული გაართოს-მეთქი; მერე თითონვე მიხვდება ყველაფერს.

— გახსოვდეს კი, რომ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია; დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს ნუ მოაკლებო, გამოეხმაურა მართა.

IV

შემაღლებული მზე მაგდას სახლის ეზოში ჩამდგარიყო, სხივებით აევსო, გაებრწყინებინა. მზე ცდილობდა ფანჯრიდანაც შეენათებინა თავისი შუქი, რომ ოთახიც გავეხიარულებინა, მაგრამ ტყუილათ: ფანჯრებს ფარდები ჰქონდათ ჩამოფარებული, კარები კი მარტო იმდენათ იყო ღია, რომ ადამიანი ძლივს შეძვრებოდა.

ეზოში, ტახტზე, სამოვარი იდგა, იქვე ეწყო ჭიქები—ერთი სუფთა, მეორით, ეტყობოდა, ჩაი დაელიათ,—ფინჯანი რძით და თეფში თეთრი პურით. ტახტის წინ ქარგა იდგა მიტკალ გადაფარებული, რომ ბაკერაეს ბუზი არ დაჯდომოდა ან ლაქა რამ არ დატყობოდა. ტახტის პირდაპირ, ალაყაფის კარებს უკან, რამდენიმე მზე უჭერიტა ამოსულიყო და ზედ ფათალო აჰხვეოდა. მცენარეებს სახე მზისთვის მიეპყროთ, ულიმოდენ, სხივებში ხუჩხუჩებდენ. ეზო ისე სუფთათ იყო მოკარკარებული, ერბო დაღვრილიყო, აიკრიფებოდა.

მაგდა ჯერ ტახტის ბოლოზე იჯდა, ხელები უძლურათ დაეყარა მუხლებზე, ფიქრს მისცემოდა, დაღონებულიყო; მერმე გაისწორა კაბი, ადგა და ფეხაკრეფით შეევიდა ოთახში. ისევ მალე გამობრუნდა. იცადა რამდენიმე ხანი; ბოლოს შეხედა მზეს, ამოიოხრა და ისევ შეევიდა სახლში.

ოთახში, ტახტზე, ნუშოს ეძინა. ყუითუკის ბალიშ-დოშაკში ჩაფლულიყო, კულულები ცელქათ გაჰფანტოდენ, შეხრილი გძელი წამწამი თეთრ ღაწვებს დაჰფენოდა, ზეითი ტუჩის ქიმი აეწია—ლოგინზე მიმდგარ ციაგს წუნობდა, კოკობ ძუძუს გამოეხედა, მაგრამ დარცხვენოდა, საბანსვე ეფარებოდა; საბნის კალთა გადაჰკეცოდა და სურათი წვიეი ფაქიზ საურს სითეთრეს ეცილებოდა; ისეც ათქვირებული უბიწო სხეული სითბოს და მოსვენებას გაეფუებინა, გაღვიებული ნორჩი ხორცი გაურკვეველ ნდომას გაემსჭვალა და ენების გამაღვიძებელ სუნნელებასა ფშვენდა. დედა შედგა, ყურება დაუწყო შვილს და სიამოვნებით თვალები გაუბწყინდა.

— შვილო, ნუშო, გაიღვიძე, დედა გენაცვალოს!

ქალი შეიძრა, გაიშმუშნა, თვალები ოდნავ გააღო და გადაბრუნდა. დედა მიუჯდა გვერდზე, ამლილი თმის სწორება დაუწყო, თან აღვიძებდა; ძლივ ჩააგდო გონებაში.

— ადექი, შვილო, აგერ მეთერთმეტე საათია.

ქალი წამოჯდა, გადაეხვია დედას, დაჰკოცნა, ძუძუებში ჩაუყო თავი.

— დედი, დედიჯან! ერთი კაბა მომაწოდე, ემანდ იქნება.

დედამ მოართვა ტანისამოსი. ქალმა ჩაიცვა ნებივრათ; ტაშტი და წყალი მოითხოვა.

— ეს რა თბილი წყალი ყოფილა, დედი!

— გამთბარა, შვილო! ზაფხულის დღეა; ის იყო მზე ამოდიოდა, წყალი რომ ამოვიტანე.

პირი რომ დაიბანა ნუშომ, სამოვარს მოუჯდა.

— აღარც კი შიშინებს! უსაყვედურა დედას ტუჩების ბრეცით.

— რა ექნა, შვილო, ორჯელაც ჩაუმატე ნახშირი.

— იცი, დედიჯან, სოსანა ხომ ზეგ რუსეთს მიდის და მოდი დღეს სადილათ დავპატიჟოთ. ორი

დღეა, რაც სოფლიდან ჩამოსულა მარუასთან. ვინიცის, სადილათაც არა აქვთ რა.

— აბა, შვილო, ეგ რა სათქმელია? რასაც ღმერთი მისცემთ, იმითი წაველენ ოღლათ. პატივი რომ ეცეთ ყმაწვილს, ის კი მართლა კარგი იქნება, მაგრამ სადილათ მოწვევა აღარ შეიძლება: დილითვე რომ მცოდნოდა, მაშინ სხვა იყო; ახლა აღარა მოესწრება რა.

—აღარ მოესწრება! არ შეიძლება! უკმეხათ უთხრა ქალმა, შენ მაინც ეგრე იცი, თუ მე მოვინდომე რამე...

დედას უნდოდა დაემშვიდებინა ქალი, ის კი თანდათან ხმას უმაღლებდა, უტევდა. საწყალ დედაკაცს რცხვენოდა მეზობლებისა, სირცხვილისაგან ილეოდა. ბევრი ეალერსა, ბევრი ეხვეწა და ბოლოს როგორც იყო, დაითანხმა, რომ საღამოს ჩაიზე მიეწვიათ ყმაწვილი კაცი.

მზე გადაიწვერა. საღამოს ნიავმა დაჰბერა მტკვრიდან გარეთუბნის ქუჩებს და სიგრილესთან სიმყრალეც მოჰფინა. მაინც სანატრელი იყო ეს ნიავი, რადგან საშინელი სიცხის ბული იდგა ქუჩებში. მაგდას ეზოში ისევ გამოჭიმულიყო კრიალა სამოვარი. იქვე ეწყო ჭიქები, დაჭრილი თეთრი პური, ვარდისა და კაკლის მურაბა. რამდენიმე დედაკაცი და ქალი იყო ეზოში; ზოგი წინდასა ქსოვდა, ზოგი ტანისამოსს აკერებდა, ან ძაფს ართავდა. ნუშოს გულ ამოჭრილი კაბა ეცვა, გულისპირი თეთრი არშიით მოერთო, ყელზე მსხვილი თაღლითის ფარღული ეგდო. მაგდა ქარგვას ჩაჯდომოდა, ლეჩაქს ჰკერავდა.

—აბა, შვილო, ჭიქებს წყალი მოაღვე; მე არა მცალია.

— ბუმბულაანთ თეკლეს შემოეთვალა, უთუოთ ხვალისათვის უნდა მომისწროვო, მიუბრუნდა სხვებს.

ნუშომ გადმოუტრიალა დედას თვისი დიდრონი თვალები და თითებზე დაიხედა: ეფიქრებოდა ცხელ წყალს და ჭიქის ჭუჭყს არ ეენო ხელებისათვის; მეტი ღონე კი აღარ იყო, უნდა დაეჯერებინა დედისათვის, რადგან მართას სახეზე მაშინვე ბოროტი ღიმილი შენიშნა.

სოსანამ დაიგვიანა. სადილსუკან რომ გასულიყო სახლიდან, ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

— ქა, რა იქნა აქამდი ი ყმაწვილ ? გამოუცდელია და არსად ჩაითრიონ, თქვა მართამ.

—შენ კიდევ ყმაწვილი ბგონია იმ ოდენა ვაჟკაცი! აბა, რა უნდა დაუშავდეს დღისით – მზისით? გასათხოვარი ქალი ხომ არ არის, მიუგო ეკამ და კვეი გაატყლაშუნა.

ამ ლაპარაკში იყვენ, როცა სოსანა შემოვიდა. ხელში ყვავილების კონა ეჭირა. მიესალმა ყველას.

—როგორ თავისუფლათ დასეირნობ! ბრალი არ არის, რომ ახლა გაკვეთილებს არ იზეპირებ — უთხრა მართამ.

—არ მეყო ჯერჯერობით? ჯაგუ კორსაიამ წამიყვანა ლუდის სასმელათ; ჯერ კი ვერ შეეჩეევიარ, მწარე მეჩვენება. ეს ყვავილებიც იმის ბაღში დავკრიფე, თქვა სოსანამ და მიაწოდა თაიგული მაგდას, რომელიც ახლა სამოვარს მოჯდომოდა. უნდოდა ნუშოსათვის მიერთმია თაიგული, მაგრამ ხალხში ვერ გაბედა.

—განა რა საქმეზეა ახლა ი კაცი? იკითხა ეკამ.

—ეაჭრობს. ძალიან მოხერხებული კაკი ჩანს. მუშტაიდისკენ ბაღი აუღია იჯარით, სასაუზმოებს და სასმელებსა ჰყიდის. ძალიან დიდი ვაჭრობა აქვს. „სალხინოს“ რომ ეძახიან, იმის ბაღია.

—ყოჩაღ, ბიჭო! მაინც ხომ მოხერხებული და გამჭრიახი ხალხია ეს იმერლობა.

—მშრომელებიც არიან. აი, ახლა კორსაია დილიდან საღამოდის ფეხზე ტრიალებს, ყოველგან სარისტას აძლევს. ერთი წუთი მოსვენება არა მაქვსო, მეუბნებოდა.

ჩაის შემდეგ ქალებმა დაირა-ნაღარა გააჩაღეს. ხალხიც თან-და-თან მიემატა. ეზოში ვიწროთ იყვენ, ამიტომ ქუჩის თავში ავიდენ, პატარა მეიდანი რომ არის ჯვარედინ გზაზე იქ გამართეს ცეკვა. საესე მთვარე უშურველათ ჰფენდა ქალაქს თავის ნაზ ნათელს. გამხიარულებული ნუშო მთვარის შუქზე ციდან ჩამოსულ ანგელოზს დაჰგვანებოდა. იმისმა ნარნარმა ცეკვამ სისხლი აუჩქროლა სოსანას.

ზოგი რომ ცეკვავდა, ან სეირს უყურებდა, ზოგნი დამსხდარიყვენ ეზოების წინ და მუსაიფობდენ, რიგი კიდევ დასეირნობდა ქუჩაზე და ტკბებოდა ნათელი ღამის სიწყნარით. ეს ქუჩა ორბელიანთ ეკლესიამდი ერთ ეზოსა ჰგავდა, აქ იშვიათი იყო მგზავრი, ორბელიანთ ეზოზე გაელას ერიდებოდენ; ისევ უბნელი ვინმე თუ ჩამოიელოდა; ხალხი ზევით ქუჩაზე დადიოდა, რომელზედაც ახლა ცხენის რკინის გზის ლიანდაგი მიდის.

ნუშო და სოსანა გაირჩენ მოცეკვავეებისაგან. ყმაწვილიკაცი ძალიან აღელვებული იყო. მარაო გამოერთმია ქალისათვის და თითონ ათამაშებდა ხელში, აწვალებდა.

— ნუშო! მე ზეგ უნდა გაუდგე შორ გზას. ხომ ეველარ ჩამოვალ, მანამ სწავლას არ გავათავებ და თითონ არ გამომგზავნიან, აბა, ვინ მომცემს საგზაო ფულს?!.

— ბევრი ხანი უნდა ისწავლო?

—თუ სწავლას მოვერიე, ოთხი წელიწადი მომინდება. ამჟამ ხანს ეველარ გნახავ. ვინ იცის, სულ

დამიეიწყო. მე კი უშენოთ სიცოცხლე გამიმწარდება. პანსიონიდან რომ ისე ხშირათ დაედიოდი მართასთან, შენ სანახავათ დაედიოდი. მთელი კვირა გაუწყვეტელი რომ ემუშაობდი, ის მანუგეშებდა, კვირას ჩემ ნუშოს თვალებში ჩავხედავ-მეთქი. რომ იცოდე, რა გულდაწყვეტილი ებრუნდებოდი, როცა ვერ მოვახერხებდი შენ ნახვას!..

ქალი ჩუმათ იყო, ნელ-ნელა დადიოდა, ქუსლს რომ დაადგამდა, მიწას ფეხის წვერამდის წყნარათ გადაზომავდა, თავი დაეხარნა, სახე უღიმოდა.

—მითხარ, ამ ბოლოს დროს მაინც მითხარ, იცოდი, რომ შემოგტრფოდი? იცი, რომ საუკუნოთ მეყვარები?

—განა მე კი არ მიხაროდა შენი ნახვა. ხანდახან რომ ვერ ჩამოხვიდოდი, ვიტირებდი ხოლმე, დედას კი ეგონა, შეუძლოთ არისო.

ახალგაზდები თანდა-თან გაიტაცა გრძნობამ, ეღარ ფთხილობდენ ლაპარაკში, ისე რომ იმათმა ღუღუნმა სხვების ყურადღებაც მიიქცია, მაგრამ მთელი უბნის საყვარელი იყო სოსანა და ცუდათ ვინ შეხედავდა იმის ქცევას? ესეც რომ არა ყოფილიყო, კაცი შორ ქვეყანაში მიდიოდა რამდენიმე წლობით და ვინ რა მნიშვნელობას მისცემდა ღღეანდელ იმის გატაცებას? კარგა ხანი დადიოდენ მარტო. შინ რომ მიაცილა ქალი, მაგდა მეზობლისას გადასულიყო. ნუშოს წიგნის ნიშანი ჰქონდა ოქრომკედით ნაკერი, ამოიღო და მიაწოდა ყმაწვილს.

—ჩემ სახსოვრათ გქონდეს. წახვალ, ვინ იცის ვის შეეყრები... მე სადღა მოგაგონდები! —თქვა ქალმა და შეანათა თვალები.

—მე? მე დაგიეიწყო? არასოდეს!..

ახალგაზდამ ეღარ შეიკავა თავი, გატაცებით გადაეჭდო სატრფოს. ქალი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა და მიაპყრო სურვილისაგან ოდნავ გაპობილი ბაგე ყმაწვილს. სოსანა ხარბათ დაეწაფა ცხოვრების წყაროს, ის ამის მეტათ არ შეეხებოდა ქალს ამგვარი სურვილით და დაითრო. იგრძნო უძლეველი ძალა სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელიც ერთათ-ერთია ცხოველსმყოფელი, რომელიც ერთათ-ერთი ძლევს და თრგუნავს სიკვდილს, რადგან ქვეყანაზე მარტო ის არის სიცოცხლის დასაბამი და იქვე სიკვდილთან, თითონ სიკვდილის მსხვერპლისაგანაც კი ჰბადებს სიცოცხლეს, რომ გადამეტებით შეავსოს სიკვდილისაგან მოცალიერებული ადგილი.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

საქველ-მოქმედო საქმე.

ქ-ტონო რედაქტორო!

ჩვენმა პატივცემულმა გაზ. „კვალმა“ გვაუწყა დასტისტანში მცხოვრებ ქართველობას მეტათ მიმზიდველი აზრი ქუთაისის სასულიერო სასწავლებ ეოვლად უსამდვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სასულიერობაზე დაარსებული თავნისა სასულიერო მთავრობის ნებართვით. ეოვლი საერთო აზრი და კეთილი მიმართულება, რომელიც კი ჩვენ დღევანდელ გამოფსიზღებულ ცხოვრებას გამოუწვევია ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამშობლოს გასაერთებლათ და ასდორძინებლათ, იმუნება და ითესება დასტინის ქართველების ცხოვრებაში. ამ კეთილგანზრასვას ქუთაისის სასულთა-ობისა უველა დიდი სიამოვნებით მიეგება და თავის წვლილს შეძლებისა დაგვართ წირვას საერთო საქმისთვის. სუთ თუმანს ვუგზავნი პატივცემულ ქუთაისის კომიტეტს თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. სვიმონ გიორგის ძის წერეთლის სასულზე და შემომწირველთა სიას თქვენ გასინდებ, რათა დასტამბულ იქნეს თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში“. შემომწირველთა სია: მისეულ ქაისოსრო ძე ბაქრაძე 10 მან., ივანე გედეონის ძე გედევანაშვილი 5 მან., მისეულ როსტომის ძე ჩხატარაშვილი 5 მან., ერმოლოზ გიორგის ძე კონტრიძე 5 მან., თ. გიორგი ალადამირის ძე მაყაშვილი 3 მან., ილია დარისპანის ძე ბაბულაძე 3 მან., მართა იოსების ასული ზუბტოვისა 3 მან., თავ. ილია გრიგორის ძე მაყაშვილი 3 მან., თ. ალექსანდრე იოსების ძე ჭკვეტაძე 3 მან., გიორგი გრიგოლის ძე თოიძე 3 მან., სოფიო დიმიტრის ასული ჩხატარაშვილისა 2 მან., ნიკოლოზ ალექსის ძე ქოლიაშვილი 1 მან., ტიმოთე ანტონის ძე შოთნაშვილი 1 მან., ანასტასია ლონგინის ასული დოდაშვილისა 1 მან., ისაონ გიორგის ძე ფურცელაძე 1 მან., ივანე იაკობის ძე კოლოტაური 1 მან.

ასისთავი მისაკო ბაქრაძე.

ᲙᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲐᲓᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

უმორჩილესათ გთხოეთ ამ წერილს, ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „კვალში“. რადგან ეს წერილი თვით საზოგადოების მოთხოვნილებით არის გამოწვეული, თქვენც იმედია, საჭიროთ დაინახავთ ამ წერილის დასტამბვას. *)

თქვენი პატივის მცემელი კირილე შევარდენისძე.

---

*) როგორც ჩანს „დავიწყებული მწერლისა“ და „ჯიბრიელის“ ფელეტონებს, „ივერიაში“ დასტამბულს, სამართლიანი გულისწყრომა გამოუწვევია ჩვენს საზოგადოებაში. ეოგელი კუთხიდან მოუდის „კვალის“ რედაქციას „დავიწყებული მწერლის“ და „ჯიბრიელის“ უმართებულო დანძღვა გინების გამო სამგიერო ჰასუსები. „კვალის“ რედაქცია ღირსათ არ თვლის, რომ „დავიწყებულს მწერლებს“ და „ჯიბრიელებს“ თავი გაუკადროს; მაგრამ რადგან საზოგადოების მოთხოვნილების აუსრულებლობაც ჩვენი მსრით უპატივცემულობათ ჩაითვლებოდა, ამისთვის მრავალ საჰასუხო წერილებს შორის ვსტამბავთ ზემოსსენებულს წერილს „კვალის“ დამატებათ. მადლობა ღმერთს, ჩვენი საზოგადოება იმდენათ გამოფხიზლებულია, რომ მას მოუკულმართე მწერალი და პუბლიცისტი ვეღარს გამოაპარებს. ის მომსვლარია, ვინ როგორ მოქმედებს და ვინ რისი ჩამდენია. მისი პირუთვნელი სიმკაცრე თანასწორათ ეპყრობა დამსახურებულთ და ჯერ დაუმსახურებელ საზოგადო მოღვაწეებს, თუ რომ მათ უკადრისი სრიკები და უკულმართი შლიქვნელობა იკადრეს ვისიმე ზნეობრივი პიროვნების შესალახავათ. ასეთი სიფხიზლე ჩვენი საზოგადოებისა ნუგეშს გვაძლევს მომავალი მოქმედებისთვის ჩვენი ერის საკეთილდღეოთ. ამიერიდან ჩვენ აღარ შეუშინდებით არავითარს ინსინუატიებს, ჭორებს, ბეზღობას და ლიტერატურის შეუფერებელს დანძღვა-გინებას. სრული დარწმუნებული ვართ, რომ მდანძღველი და უსამართლოთ მაბეზღარი მწერალი თვითვე მოიმკის თავის უპატიურობის ნაყოფს. რედ.

ᲔᲡᲔᲪ „ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘᲐ“?!

(ᲒᲣᲛᲓᲒᲜᲘ ᲐᲡᲐᲚ ᲦᲔᲥᲢᲝᲠᲡ „ᲯᲘᲑᲠᲘᲔᲚᲡ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲡ [1]).

ᲐᲬᲔᲠᲐᲚᲜᲘ და არა მწერალნი, ქვეყნის გულშემატკივარნი და მათი წინააღმდეგნი, მოყვარენი და მტერნი, ყველა იმას ჩვეის და ჰგოდებს, რომ შურმა, მტრობამ, ღალატმა და ჯიბრმა ჩვენი ქვეყანა დაღუპესო და შემდეგშიც ამაებითვე მოელის ჩვენს ქვეყანას დაქვეითებაო და სხვა... როგორც მოგახსენეთ, მკითხველო, ყველა მქადაგებელი და დამრიგებელია, ხოლო თვით კი ნიადაგ ამ თავიანთი მოძღვრების წინააღმდეგნი არიან. აი, მაგალითათ მეუთითოთ თუგინდ „დავიწყებულ მწერალზე“. ის ყოველ ცუდს, ქვეყნის ღალატობას და უსამართლობას სხვას უკიჟინებს, თვითონ კი თავის თავი უმანკო-უცოდველათ გამოჰყავს, მაგრამ მკითხველი კი ცხადათ ხედავს მისს შურის ძიებას, პირად მტრობას და გესლიანობას, რაიც ჩვეულებრივათ მიმადლებული აქვს სხვა „ივერიის“ პუბლიცისტებსაც. „დავიწყებულ მწერალს“ სხვისი ყველაფერი კარგი დავიწყებია; მხოლოთ სიავენი და მტრობანი პატიოსანი მოღვაწის შესახებ, უმართებულო პირთაგან გაფრცელებულნი, გულში ჩაუმარხავს და გადმოუნთხევია. როგორც ჩანს, „დავიწყებული მწერალი“ აქამომდე ქვეყანას დავიწყებული ჰყოლია და ამისგამო ეტყობა, საშინლათ თურმე იტანჯებოდა ამ გარემოებით. ბოლოს იფიქრა, მოდი დაველანძღავ მართალ კაცებს და მიწასთან გავასწორებო. იმედია, ამით მაინც გამიხსენებენო. ეთქვათ, ესეც ხომ ჰეროსტრატობაა. ბევრი ეფიქრობდით სიტყვას „ჯიბ-

---

[1]) ნეტავი იმათ, ვინც იმ სამგალითო და შესანიშნავის ღექტიების სმენით და შემეტნებით დამტკბარნი, გალღღებულნი ცსოვრებაში გამოვლენ!! ნეტავი იქ მეოფთ, სადაც ასეთი გრძნობისა და გონების მასაზრდოებელი და განმავითარებელი მეტნიერების წყარო გალმოჩქეფს ქვეყნის მოსანათლავათ, როგორიც არის გულწრფელის „ჯიბრიელის“ ღექტიები „ივერიის“ რედაქციის კეთილრიდგან წამომარგალიტებული, „დავიწყებული მწერლის“ ინსინუატიები, ბატონი ჯაბადარის პირობის ძალა, იურიდიული კანონები და მოურიდებელი ლანძღვა-კიცხვანი. ავტ.

რიელს“ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო, ეს რა პსევდონიმი მოუგონიათ „ივერიაშიო“. რომ აიღეთ-დაიღეთ, ბოლოს მიეხვედით, რომ მართლაც „ჯიბრიელი“ ზედგამოჭრილი პსევდონიმი ყოფილა იმ სტატიებისა, რომელთაც ქვემოთ ხელმოწერილი აქვთ ეს სახელი. ჯიბრი და ჯინი გურიაში შურის ტ მტრობის ღვიძლი ძმები არიან. „გიორკი წერეთელმა უღალატა მთელ ქართველობასო — სიმკაცრით ბძანებს „დაეიწყებული მწერალი“, როცა მან ყუთი არ ჩამოიდგა ქალაქის საბჭოში სხვა ქართველებთან ერთათო. ასეთი ინსინუაცია და საზიზღარი ბეზღობა ორი წლის წინათ უკვე გამოცხადებული იყო „ივერიაში“, მაგრამ მან თავის დროს უკვე დაიმსახურა შესაფერი მსჯავრი საზოგადოების მიერ. იმ დროს და შემდეგაც საკმაოთ გამოირკვა „ივერიისა“ და მისი მომხრეების წადილი გ. წერეთლის ჯვარზე ასაგებათ ფარისეველთა ბრბოს მიერ. ჩვენ გვეგონა „ივერიის“ რედაქცია, დარცხვენილი მაშინდელი მხილებით, აღარ მოიგონებდა ასეთ საზიზღრობას. მაგრამ, დახე ჩვენს გაოცებას! „დაეიწყებულმა მწერალმა“ თავის სამარცხვინოთ კვლავ მოგვიძღვნა ასეთი უმგზავსობა იმავ „ივერიის“ კაპადონებზე. თურმე მაშინაც და ახლაც „ივერიის“ რედაქცია ვარჯიშობს და ხარობს სხვისი დამცირებით. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენი ზარალი მოუტანა ქართველობას მაშინდელმა მათმა ისეთმა საქციელმა. ახლა საკმაოთ გამოირკვა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა, რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ქართველობისთვის, რამდენიმე ქართველი მაინც რომ დარჩენილიყო ხმოსნათ ქალაქის საბჭოში.

ვითომ ჰფიქრობდენ ჩვენი პოლიტიკანები, უჩვენოთ არაფერი შეიძლებაო, მაგრამ დაგვესხა ცეცხლზე ძმარი და დავრჩით ხახა მშრალი!.. — ზოგი კაცი ისეთია, რომ თუ არ თავისი, სხვისი არა მოწონს რა. ის ყოველთვის თავისებურათ სჯის და დარწმუნებულიც არის, რომ მისი მსჯელობა და მოსაზრება საუკეთესო რამ არის, როგორც თავისთვის, აგრეთვე ხალხის კეთილ-დღეობისათვის, მაგრამ ასეთი პედანტიზმი ყოველთვის საზარალო და სამარცხვინო ყოფილა ჩვენთვის. არიან ისეთი შეძლებული და მოხერხებული მწერლები, რომელნიც თავიანთი ხრიკებით ამდაბლებენ და მიწასთან ასწორებენ ისეთ შესანიშნავ და პატიოსან მოღვაწეებს, რომელთა მიზანი ქვეყნის წარმატებაა და არა ანგარება. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მართალს და პატიოსანს ჩვენში ძნელათ ენდობიან. გულწრფელს და მშრომელს ადამიანს, რომელიც თავდადებულია ხალხისათვის, ხალხს აძულებენ და თვითონ კი სხვების დამცირებას და განადგურებას შემდეგ ლხინობენ და მეჯლისობენ. ზოგი მკითხველი ისე სამარცხვინოთ არის მომზადებული, როგორც გაზეთებით, აგრეთვე ზოგიერთა სოფისტების წყალობით, რომ შავი თეთრიაო, დაუსახელოთ, — ბრმათ დაგეთანხმებიან. ასეთი მოჯადოება საზოგადოებისა მწერლის ნიჭის ღირსებაც უნდა იყოს, თუ იგი სამართლიან გზას დაადგება. მაგრამ ყოველივე ღვთისგან მოცემული განძი ჭკუისა თუ უკუღმართ საქმეზე მოიხმარე სხვისი პირადი ღირსების გასაქარწყლებლათ, იმის მოსასპობლათ, ვინც კი თავს წამოსწევს საზოგადოების ერთგული სამსახურისთვის: აქაო და შეძლება-მოხერხება მაქვსო, თქვენ თუ მას ამცირებთ და საზოგადოებას აძულებთ ეს — ქვეყნის ღალატობაა, მაშ რაა?!. ასეთი გახლავს „დაეიწყებული მწერალის“ საქციელიც. უძვირფასესი და უნიჭიერესი ლექტორი „ივერიისა“, ბ. „ჯიბრიელი“, პატივსაყრელია თავის მართლა და „სიცრუის“ ლექციებით, თუმცა ის კი არ არის სიცრუე, რომ მთელი ერთი გვერდი იმოდენა ფელეტონებისა მისგან მოწონებულ „ბოყინს“ უძღვნა... „ჩვენმა სასიქადულო „კვალის“ რედაქციამ (ივერია კი სახელქებულია, მისი წარმოდგენითა) თავის დუქან-ბაზარი უნდა აალაგოს, რადგანაც წლითი-წლობამდე, ყოველ საათს, წამ-და უწუმ, ამ უკაცრაობის თქმას მოუნდებაო“ — ბრძანებს ბ. „ჯიბრიელი“. ნათქვამიც არის და სწორეთ მართალიც: „ყვავს მისი ბახალა მოსწონსო“; „სხვის თვალში ბეწვსაც დიდათ ხედვენ და თავისაში დვირესაც ვერაო“; „გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო“; „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“. განა ასეთი ზნე „ივერიას“ მისი ლექტორიდან დაწყებული მრავალ მის თანა-მშრომლებამდე არა სჭირთ?! მაგრამ, როგორც სამართლიანი მკითხველი დაინახავს, აქ საქმე თურმე მოსწრებაზე, ჭორების შეთხზვაზე და სხვის დამცირებაზე ყოფილა დამყარებული. ჩვენ აქამდის კიდევ არ გვეჯერა, როცა გვეუბნებოდენ, რომ „ივერია“ „კვალს“ ეჰტერებაო, მაგრამ მას აქვთ, რაც „დაეიწყებული მწერლის“ და „ჯიბ-

რიელის'' ლექციები გამოაქვეყნეს, ,,ივერიის'' რედაქციის გულ-ქაცვიანობა და შური ,,კვალი''სადმი—აქაიომა შეიქნა. მართლაც რაი ,,კვალი'' დაარსდა, მას აქეთ ,,ივერიასა'' და მის ძველ აზროვნების მიმდევართ ძილი დაეფთხოთ. განა თვით ,,ივერია'' კი არ გრძნობს ამას? (ალბათ ამიტომაც არის, რომ მტრობას აცხადებს...) იმ თავითვე, როცა ,,კვალი'' გამოვიდა, ყოველი ახალი წლის დაწყებისას ,,ზურნი'' დან'' მოკიდებული ,,ჯიბრაილამდის'' სასტიკათ ემუქრებიან ,,კვალს'': ალაგვეთ ღუქან-ბაზარი, აღიგავეთ ამა ქვეყნისა პირისაგან და ჩაჰბარდით პატრონს, რომ ჩვენ უფრო თავისუფლათ შეექნათ ბრმა თაყვანის მცემლები და დაუბრკოლებლივ ეიფარფაშოთო. ვინც ჩვენ გვსურს, ის ვაცოცხლოთ და თუ ვისმე გაუწყრება გამჩენი და გაგვიბედავს რასმე—ამოვეკლიტოთო. კარგი დევიზია თქვენმა მზემ. ცხოვრება ბრძოლაა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ბრძოლაში უფრო ჭახრაკოსანი და გაიძვერა გმირები იმარჯვებენ. ,,ივერიის'' ლექტორი ქვეყანას პროკლამაციას უცხადებს, რომ: ,,მე ვარ უფალი ერთი თქვენი და არა იყვნენ ძლიერნი თქვენდა ჩემსა გარეშე, რაოდენი არს საქართველოსა შინა, ბანკსაშინა და ,,კვალის'' რედაქციასაშინა, არა ერწმუნოთ მათ და არცა მიემხროთ მათო. მართალი უნდა გითხრათ, რომ ნებიერათ გაზრდილი, გასათუთებული არისტოკრატი ტალახში ჩაყენოთ, მიუსაჯოთ ყოველ დღე ჩვეულებრივი მუშაობა და აძლიოთ ჩვეულებრივ საჭმელ-სასმელი, ბინა და ყოველი ცხოვრების საჭირო სახსარი, როგორიც საწყალ ახლანდელს მუშებს აქვს,—ვერც გაძლებს და საიქიოსაც დააპირებს გამგზავრებას. იქნება, ,,ივერიასაც'' ამ მდგომარეობისა ეშინოდეს, რაკი პრესტიჟი დაეკარგება და შესაძლებელიც არის, მკითხველო, კვანძი მისი მეშურნეობისა აქ იმალებოდეს, მითი ეტანჯვოდეს სული ,,ივერია''-ს და მის ლექტორს. დიაღ, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს ის ნასკვია, რომლითაც შეშფოთებულია ,,ივერიის'' რედაქცია და მოწადინებულია ამ ნასკვის გაწყვეტას. ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო, ნათქვამია და ჩვენც ღვთის სამართალზე რომ ვთქვათ, ძნელი კი არის შეუჩეველის შეთვისება. ,,ივერიას'' ,,კვალი'' დაუპატიჟებელ სტუმრათ მიაჩნია ჯ მის ლანძღვა-გინებაში ატარებს საუკეთესო დროებს, რომ ვინიცობაა ეგების მე დამრჩეს ბურთი და მოედანი. ,,უკაცრაობის ცხრილში რომ გავატაროთო ,,კვალი'' რაღა დარჩება ძირსო''—მჭევრმეტყველობს ჯიბრიელი, მაგრამ იგივე საკითხი რომ ჯიბრიელს უკან დაეუბრუნოთ, რა იქნება? განა ,,ივერიას'' კი ბლომათ დარჩება ნამდვილი ჭკუა-გონების ნაყოფი მასალა თავის ლექციებით და ლანძღვებით?!. [2]) მე კი, როგორც მოგახსენეთ, ერთი გულ-უბრყვილო სუსტი ვინმე ვარ და არა ის, რომ დავიძახო ბანკის კრებაზე საზოგადოების მოსაჯადოებლათ და ასაღელვებლათ: ,,თ. ივანე მაჩაბელი იმდენათ მოღალატეა საქართველოსიო, რომ ორი საყვარელი ძმები,—ქართლი და კახეთი ჰსურს ერთმანეთს დაგვატაკოს და დაეხოცოთ ერთურთიო''.

მერე იცით, ვინ არის ასეთი ჭორების შემთხზველი? ის, ვინც ინტრიგებათ ხარობს და მეჯლისობს, ის, ვინც ამგვარ ინტრიგებში ,,გამოწვნილია'' და გამოჭახრაკებული, ის, ვინც შავს თეთრათ აჩვენებს საზოგადოებას, მაგრამ იმედი გვაქ ჭეშმარიტებისა, რომ ის ყოველსავე ნათლათ დაგვანახვებს: ვინ მგელია და ვინ ცხოვარი. აქაოდა მოხერხება მაქვსო, ვისაც მინდა, იმას დავსძლევო, თუ გინდ ქვეყნის ერთგულ კაცსაც ქვეყანას შევაძულებო? მერე განა საკადრისია ის მოიქმედო, რაც შენს ჭახრაკობას შეუძლია? ვითამ რაო? მე მოვასწრებ ცილის-წამებას, მას დავაბრალებ და ტაშის დაგრიალებასაც და გულუბრყვილო ხალხის თანაგრძნობასაც მე ,,შევინარჩუნებო?..''—,,ივერია'' სხვას უკიჟინებს ლოღიკის უქონლობას, აზრების არევ-დარევას, ერთი აზრის მეორესთან წინააღმდეგობას და უვიცობას, მაგრამ თვითონ კი ყოველ ნაბიჯზე გვიმტკიცებს მას, რასაც ის სხვებს დასცინის. თავის თვალში ვერიერესაც ვერ გრძნობს. ჯერ იყო და ,,ივერიამ'' ,,კვალს''

[2]) სსვათა შორის ერთიც დამეკითხა რუსეთიდან, რომ ,,ჯიბრიელი'' ვინ არისო, ან რომელი ,,ლანძღვა-გინების'' ფაკულტეტი აქვს გათავებული, იმ დროს, როცა ასეთი ლანძღვა-გინების ფაკულტეტი არც ერთ განათლებულ სასწავლებელში არ არსებობსო და ნუ თუ საქართველოს დედა ქალაქში ,,ივერიის'' რედაქციის ტრიბუნა ამ გვარი ლექციებით არის შესანიშნავიო და ჰასუსი ჯერ ვერა მიმიწერია რა, ჰატივცემულნო მკითხველნო! თქვენ რას მირჩევთ?!.

უკრიტიკა, რომ ფელიქს ფორი, ახლანდელი პრეზიდენტი საფრანგეთისა არ არის დემოკრატიული პრინციპების დამცველი და არც იქნება არაოდესო, ხოლო გასული წლის მიწურულებში კი იგივე „ევერია“ ამტკიცებდა—იმას. რაშიაც წინათ „კვალს“ ეითომ-და-ამტყუნებდა. გაიმართა პოლემიკა „კვალსა“ და „ევერიას“ შორის. „ევერია“ თავისი „ვინ-წილებით“, „კაერემენებით“ და ლავრენტი ლეონიძეებით ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ჩვენში არც არის, არც იქნება და რომ გაუწყრეს ღმერთი და დარჩეს—უბედურებააო. მაგრამ იმავე 1895 წლის მიწურულში დაისტამბა „ევერიაში“ ფელეტონები ბ. ანტ. ფურცელაძისა, რომელიც მართალსაკით ამტკიცებდა: „კაპიტალისტური წარმოება ახლა კი არა, ადამიანი რომ ოთხიდან განთავისუფლდა, მას შემდეგ იწყებაო და არის ახლაც ყველა ერშიო. თუ კაპიტალისტური წარმოებით არა, უმისოთ ადამიანის ბედნიერება შეუძლებელიაო“ და სხვა... მაგრამ ეჰკითხოთ ახლა „ვინ-წილს“ და მის მომხრეებს, რომლებიც სასტიკათ უფრთხიან კაპიტალიზმის ხანას ჩვენში... „ევერია“ არ ბრძანდებოდა, რომ იმის მოძღვრის „Plebs“-ის სახელით, ქადაგებდა, რომ ნატურალისტურ მდგომარეობას დაუბრუნდეთ, იქ არის ჩვენი ბედი და იქ ვეძიოთ ჩვენი მყობადიო. ახალ დაარსებულ „კახეთის ქალთა ამხანაგობას“ მედიდურათ უქადაგებდა, რომ ძველი ქართველური ზნე-ჩვეულებანი მტკიცეთ დაიცვეთ, გაავრცელეთ ძველებურიე ცხოვრებაო... პირდაპირ რომ ეთქვათ, ამ დასკვნიდან ის გამოდის, რომ ხაშით გაძეხით, კახურით გაილეშეთ, ხშლებით დაჩეხეთ ერთმანეთი, მთელი უმეტესი დრო ორთავე სქესისა ქეიფს და შექცევას მოახმარეთ, ვარდ-ბულბულებზე იგალობეთ, ბლომათ იძინეთ, ქალები მოიტაცეთ და სხვა ამგვარებიო. მე უარს არ ვყოფ იმას, რომ ქართველებს სხვათა შორის სასარგებლო ზნე-ჩვეულებანი ჰქონებიათ, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ძველი ზნე-ჩვეულებანი მტკიცეთ დავიცვათო, რომელთაგან ზოგი სასარგებლოა და ზოგი ძლიერ მავნებელიც. განა ძველებური ხელობა რა იყო იმის მეტი, რომ ერთ ალაბ ხამს, ან შალს ერთ კვირას ვერ მოქსოვდენ და იმასაც ახლანდელი შეიდ კაპეიკიანი ნარმა, ან მიტკალი ჯობს. ან კიდევ ხის ჯამები, რაზედაც აუარებელი მუშაობა მიდიოდა და ახლა კი იმის მაგიერობას შაურიანი თეფში ასრულებს; მაგრამ „Plebs“-ს საშიკოთ და სალალობოთ მომზადებულს, რომელმაც არ იცის შრომის დანაწილება რა ხილია, პოლიტიკური ეკონომიის ავან-ჩავანის არაფერი გაეგება, როგორ გამტყუნება ის, რაც თავის დღეში არ გაუგონია და მხოლოთ ძალმომრეობაზე აქვს საქმე დამყარებული.

სინდისიერი „ჯიბრიელი“ ჯერ დაუბეჭდავ გიორგი წერეთლის რომანს ეხება და ქვეყანას აუწყებს, რომ ის გადასაყრელი და თაგვების საჭმელი იქნებაო. შურის, ჯიბრის და მტრობის მეტი განა არის აქ რამე, სული ნუ წაგიწყდებათ, თუ გინდ თქვენ თითონ „დავიწყებულო მწერალო?“

რაკი თაგვების საკვებზე მიდგა საქმე, ჯიბრიელს რად დავიწყებია ნამდვილი საზრდო საწყალი თაგვებისა? განა უფრო მარტივი და ზედ-გამოჭრილი არ იქნებოდა, რომ თაგვების საჭმელათ და გადასაყრელათ „უცნაური ამბავი“ დაესახელებია??!!

მაგრამ კმარა. ჯერ-ჯერობით „დავიწყებულ მწერალს“ და „ჯიბრიელს“ ესეც ეყოფა სამახსოვროთ. მოუთმინოთ სანამ მეოთხეთ არ გამობძანდება „ევერიის“ კათედრაზე სალანძღავათ. უკანასკნელი ლექცია მან დაამთავრა ამ სიტყვებით „მშვიდობით მეოთხე ლექციამდეო“. ჩვენც ეუცდით, მაგრამ ნუ მოგეცათ რისხვა „დავიწყებული მწერლისა“ და ალ. ჯაბადრისა, აგერ რამდენი ხანი გავიდა და მეოთხე ლექციისა არა ისმის-რა. ღმერთი არ გაუწყრეს, „უცნაურის ამბის“ ბედი არ ეწიოს ჯიბრაილის ლექციებსაც.

ჟედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა 18 ახალი ქართული წიგნი და 1 ალბომი—„ქართველთა ტომნი“ (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.

გამოვიდა № 3 და 4 წიგ. გმირი როლანდი 3 სურათით და დროა გონს მოვიდეთ.

ფასი მთელის გამოცემისა: წლით—4 მანეთი, ნახევარი წლით—2 მანეთი. ალბომი გაეგზავნება მხოლოთ წლიურ ხელის-მომწერლებს.

ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ. Давид. ул. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

10—3

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Марта 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, ქ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.